ადრეული ასაკის ბავშვების ადამიანის უფლებები: სოციოლოგიური ანალიზი

საერთაშორისო ჟურნალი ბავშვთა უფლებებზე (2012) 20:177-198

პრისცილა ალდერსონი

აბსტრაქტი

ადამიანის უფლებების შესახებ ლიტერატურაში ბავშვები ტენდენციურად გამორჩენილები არიან. სოციოლოგიას ამ ნაკლის შევსება შეუძლია ბავშვების ადამიანის უფლებების აღიარების მნიშვნელობისა და სარგებლის, მათი არ აღიარების საშიშროებების, ასევე უფროსებისა და ბავშვების ერთობლივი უფლებების ხელშემწყობი სამუშაოების შესახებ მტკიცებულებების გამოვლენით. თუმცა, სოციოლოგიას ნაკლები დრო აქვს დათმობილი ადამიანის უფლებებზე და მასთან დაკავშირებულ ისეთ თემებზე როგორიცაა ჰოლოკოსტი, ადამიანის ბუნება, რეალური სხეულები, უნივერსალური პრინციპები და მორალური იმპერატივები. სტატიაში განხილულია ცენტრალური *არარსებობის* ირგვლივ სოციოლოგიაში წარმოშობილი განხეთქილებები, რომლებმაც შეიძლება ნაწილობრივად ახსნას აღნიშნული „გამოტოვებები". შემდეგ, განხილულია ის, თუ როგორ შეუძლია ინტერდისციპლინარულ მიდგომებსა და კრიტიკულ რეალიზმს „ადამიანის ოჯახის ყველა წევრის თანდაყოლილი ღირსებისა და ... თანასწორი და განუყოფელი უფლებების" თეორიად ქცევა და დამტკიცება. ყველაზე ადრეული ასაკის ბავშვების უფლებები ნათელს ჰფენენ ადამიანის ყველა უფლების მნიშვნელობას, რომლებიც რაციონალური პიროვნების მიდგომაზე იმდენად არაა დამოკიდებული, რამდენადაც ადამიანის ბუნების, დაუცველობისა და სოლიდარობის აღიარებაზე სოციალურ სტრუქტურებთან ურთიერთქმედების დროს.

საკვანძო სიტყვები

არარსებობა, ჩვილი ბავშვები, ბავშვების უფლებები, კრიტიკული რეალიზმი, განხორციელებული უფლებები, ჰოლოკოსტი, ადამიანის ბუნება, უნივერსალური პრინციპები.

შესავალი

წინამდებარე სადისკუსიო სტატიაში განხილულია თუ რატომ (და შეძლებისდაგვარად - როგორ) არიან ბავშვები ხშირად გამოტოვებული ისეთ აკადემიურ და პოპულარულ ლიტერატურაში ადამიანის უფლებების შესახებ, რომელიც უმეტესად უფროსებზეა ცენტრირებული. ავტორები გულისხმობენ, რომ ადამიანის უფლებები ძირითადად უფროსებს მიეკუთვნება და განცალკევებულია ბავშვების უფლებებისგან. სოციოლოგიას ამ ნაკლის შევსება შეუძლია ბავშვების სრულყოფილ ადამიანებად და მათი ადამიანის უფლებების აღიარების მნიშვნელობისა და სარგებლის, მათი არაღიარების საშიშროებების, ასევე უფროსებისა და ბავშვების ერთობლივი უფლებების ხელშემწყობი სამუშაოების შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენით. თუმცა, სოციოლოგია უმეტესწილად ამბივალენტურია და შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ბავშვებს, ადამიანის უფლებებს ზოგადად და ისეთ თემებს, რომლებიც ალბათ, მჭიდრო კავშირშია უფლებებთან, მათ შორის: ჰოლოკოსტი, რეალური სხეულები, ადამიანური ბუნება, უნივერსალური პრინციპები და მორალური იმპერატივები. სტატია ეხება სოციოლოგიურ თეორიებსა და მეთოდებში ცენტრალური *არარსებობის* ირგვლივ წარმოშობილ განხეთქილებებს, რომელმაც შეიძლება ამ გამოტოვებების განმარტებას შეუწყოს ხელი. შემდეგ განვიხილავ იმას, თუ როგორ შეიძლება ინტერდისციპლინარულმა მიდგომებმა და კრიტიკულმა რეალიზმმა ხელი შეუწყონ „ადამიანის ოჯახის - როგორც თავისუფლების, სამართლიანობისა და მსოფლიოში მშვიდობის ფუნდამენტის - ყველა წევრის თანდაყოლილი ღირსების, თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარების" თეორიად ქცევას (გაერთიანებული ერები, 1948). ადრეული ასაკის ბავშვების უფლებები ადამიანის უფლებების სფეროში რეალობას ასახავს, რომელიც ეყრდნობა არა რაციონალურ პიროვნებას, არამედ ადამიანურ ბუნებას, დაუცველობასა და სოლიდარობას მიზნობრივი პროგრამის "ტრუქტურებთან ინტერაქციის პირობებში.

სოციოლოგი მაიკლ ფრიმანი (Michael Freeman, 2011) თვლის, რომ სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი მიზანია ადამიანის უფლებების მხარდამჭერები და იურისტები რეალობას დაუბრუნოს,

უფლებებთან დაკავშირებული აბსტრაქტული ცნებების სოციალურ კონტექსტებთან, სტრუქტურებთან და მნიშვნელობებთან დაკავშირების გზით, სადაც ერთმანეთს ხვდება ნორმატიული ფილოსოფია, სამართალი და სოციალური მეცნიერება. ვუდივუსი (Woodiwiss, 2005) და ჰაინსი (Hynes et al. 2011) ასევე ამტკიცებენ, რომ სოციოლოგიას შეუძლია გააანალიზოს ადამიანის უფლებების კომპლექსური მნიშვნელობები და რელევანტურობა ბევრ სოციალურ პროცესებსა და ურთიერთკავშირებში. ფრიმანის (Freeman, 2011:118) მოსაზრებით სოციალური მეცნიერებისა და ფილოსოფიის დანაწევრებას, რითაც დისციპლინების „განწმენდას" ცდილობენ, აქვს როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებებიც. გამოკვეთილი პრობლემების „მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ინტელექტუა-ლური აქტივობით, რომელიც კვეთს ისევ ჩვენ მიერ დადგენილ საზღვრებს". სტატიაში განხილულია თუ როგორ შეგვიძლია გავიგოთ მეტი ადამიანის უფლებების რეალობის და სოციოლოგიის შესახებ, ტრადიციული აკადემიური საზღვრების გადაკვეთით, ასევე დამაუძლურებელი განხეთქილებების, წინააღმდეგობებისა და დიქოტომიების გადალახვით (რომლებიც საგნებს ორ საპირისპირო მხარედ ანაწევრებს: ადამიანი გადაიქცევა უფროსად/ბავშვად).

შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ბავშვები საერთოდ გამქრალია ამ სტატიიდან. თუმცა, ეს იმიტომ, რომ მინდა გაჩვენოთ, რომ სავარაუდოდ, „უფროსების" ეკონომიკური თუ პოლიტიკური საქმეები გავლენას ყველა ასაკის ადამიანზე და მის უფლებებზე ახდენს. ფემინისტებმა აჩვენეს, რომ 1970-იან წლებამდე კაცზე ცენტრირებულ სოციოლოგიაში ქალები უჩინარები, თუმცა ამასთანავე გარდაუვლად ცენტრალური ფიგურები იყვნენ. ფემინისტები იმასაც ამტკიცებენ, რომ საზოგადოების სათანადოდ გაგებისათვის აუცილებელია როგორც ქალების, ასევე კაცების გათვალისწინება. იგივენაირად, სტატია ამტკიცებს, რომ ბავშვები და ახალგაზრდები (ჯერ კიდევ ძალიან ხშირად) უჩინარები არიან უფროსებზე ცენტრირებულ სოციოლოგიაში და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ლიტერატურაში. და მაინც, წარმოადგნენ რა კაცობრიობის ერთ მესამედს, ისინი მაინც ცენტრალური ფიგურები არიან. შესაბამისად ის ანგარიშები, სადაც ისინი გამოტოვებულია - ასიმეტრიული და

არასრულია და დაკავშირებულია კრიტიკულ რეალიზმში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემასთან - არარსებობასთან (იხ. ქვემოთ). იმისთვის, რომ არ მომიხდეს განმეორებით „და ასევე ბავშვების" ფრაზის წერა, ჩემთვის „ადამიანი" და „სოციუმი" ყველა ასაკის ადამიანს გულისხმობს.

იურისტი მაიკლ ფრიმანი (Michael Freeman, 2012, ასევე იხ. 2007) თავის დარედაქტირებულ ინტერდისციპლინარულ წიგნში ბავშვობის კვლევებთან და სამართალთან დაკავშირებით ამტკიცებს, რომ: „სამართლის ყველა სფერო (და შესაბამისად უფლებების ყველა სფერო) გავლენას ახდენს ბავშვებზე და მოიცავს ბავშვობის კონცეფციებს". მაგრამ ფრიმანი აჩვენებს, თუ როგორაა ბავშვებისა და ბავშვობის ტრადიციული კონცეფციები ხშირად შეთხზული, თუმცა არ ხდება მათი პირდაპირ აღიარება ან მათთან დაკავშირებით კითხვების დასმა. რეალური ბავშვები შემდეგ აღარ არსებობენ იმ გაგებით, რომ ისინი „ჩაძირულები" არიან ცნობიერი დისკურსის, გადაწყვეტილებებისა და სამოქმედო პროგრამის შემუშავების დონის მიღმა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბრენდა ჰეილი (Brenda Hale, 2011) აღწერს თუ რამდენად ხშირად ხდება ბავშვებისა და მათი უფლებების გამორჩენა სასამართლოებში. მას მოჰყავს მაგალითები, როდესაც იურისტები ბავშვების უფლებების მე-12 მუხლს იყენებენ საკუთარი შეხედულებების გამოსახატავად მხოლოდ იმისთვის, რომ გადაარწმუნონ ბავშვები და ნაწილობრივად ინფორმაცია მიაწოდონ მათ, და არა იმისთვის, რომ მოუსმინონ ან ისწავლონ მათგან. ჰეილი თვლის, რომ ადრეული ასაკის ბავშვების მშობლებს ხშირად უსჯიან პატიმრობას მათი შვილების გაუთვალისწინებლად, თუმცა არსებობს 1989 წლის აქტი ბავშვების შესახებ და ბავშვის უფლებათა კონვენცია (UN, 1989), მუხლი 3:

> *"ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას"*

იქ, სადაც ბავშვები რეალურად არსებობენ და რელევანტურები არიან, ხშირად უჩინარი, გაუგონარი, გამორიცხული, უგულებელყოფილი და გაუთვალისწინებელი რჩებიან... ეს არა მარტო სასამართლო დაწესებულებების სინამდვილებში ხდება, არამედ მთელ სისხლის სამართლებრივ სისტემაში; მშობლების დაპატიმრების განაჩენი ბავშვებისთვის უფრო მძიმე დანაკარგი, ემოციური ტანჯვა და სამარცხვინო დაღია, ვიდრე მათი მშობლებისთვის ციხის ატანა. ვინაიდან საზოგადოებაში თითქმის ყველაფერი ბავშვებთანაა კავშირში, „ბავშვთან დაკავშირებული ყველა საკითხიც" (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989: მუხლი 12) თითქმის ყველაფერს ეხება.

თუკი ბავშვები მხოლოდ ზოგჯერ არიან ჩართული, ეს იმთავითვე იმაზე მიუთითებს, რომ სხვა დანარჩენ დროს არ ხდება მათი გათვალისწინება. ეს უმთავრესი პრობლემაა, რომელიც გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციამ წარმოშვა და მისმა წარმოსახვითად შექმნილმა ბავშვების უფლებებმა, რომელსაც გადააქვს ყურადღება ძველ კონვენციებში ხსენებული „ყველას" უფლებებიდან. ამან შეიძლება უკვდავყოს საწყისი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ მხედველობაში მხოლოდ უფროსები მიიღებიან, თუკი არ ხდება ბავშვების ხსენება. თუმცა, ჩემი სტატიის ერთ-ერთი მიზანია ბავშვების საწყის ვარაუდში ჩართვის ხელშეწყობა და შემდეგ ნებისმიერი სპეციფიური გამონაკლისის დამტკიცება/გამართლება. სტატია არ ეძღვნება არც ადრეული ასაკის ბავშვების ექსკლუზიურ უფლებებს, და არც გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას, გარდა იმ ბევრი უფლებისა, რომლებიც საერთოა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასა და სხვა კონვენციებისთვის (როგორიცაა გაერო, 1948; ევრო-კომისია, 1950). სტატიაში განხილულია თუ როგორ შეიძლება 0-8 წლამდე ასაკის ბავშვების „უფლებების მფლობელებად" განხილვამ უკეთ გაგვაგებინოს ის სამოქალაქო თუ ეკონომიკური უფლებები, რომლებიც თითოეულ ადამიანს გააჩნია. ეს თეორიული ნაშრომი წარმოიშვა ჩემს შრომებთან დაკავშირებული, უფრო პრაქიკული წიგნებიდან (Alderson, 2008; Alderson and Morrow, 2011).

ემპირიული საკვლევი პროექტის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ნაცვლად, ეს სტატია განიხილავს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს თანამედროვე სოციოლოგიაში, მათი გააანალიზებისა და გადაწყვეტის სავარაუდო გზებით. ის ეყრდნობა შედარებით ახალ ფილოსოფიას - კრიტიკულ რეალიზმს (Bhaskar 1998, 2008, 2010, 2011). ნაშრომისა და კრიტიკული რეალიზმის ცენტრალური საკითხი არის სხვაობა ონთოლოგიას (აქ „ყოფიერება", „რეალური არსებობა" და „ფუნქციონირება") და ეპისტემოლოგიას (აქ „ცოდნა", „ფიქრი", „აღქმა", „გაგება", „აღწერა", „განმარტება") შორის.

კრიტიკული რეალიზმი ამტკიცებს, რომ უმეტესად, ფილოსოფიას და სოციოლოგიას ყოფიერება დაჰყავს ცოდნამდე, ნივთები - ფიქრებამდე და მაგალითად, რეალურად ცოცხალი ბავშვები - კონცეპტებამდე, რწმენებამდე და ბავშვობის შესახებ დისკურსებამდე. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული რეალიზმის ტექსტები დატვირთულია, სოციოლოგად მუშაობის დაახლოებით 30 წლიანი გამოცდილების შემდეგ, ისინი უაღრესად სასარგებლოდ მიმაჩნია სოციალური კვლევის ღრმა პრობლემების განმარტებასა და გადაწყვეტაში, და ჩემი მიზანია რაც შეიძლება ნათლად განვმარტო იდეები კრიტიკული რეალიზმის გადასახედიდან (ალდერსონი, პრესაში).

ადამიანის მორალისა და ადამიანის უფლებების ონტოლოგიას (მათი არსებობა, ბუნება და ფუნქცია) უფრო მტკიცე ბაზისი აქვს მაშინ, როცა ის დაკავშირებულია ადამიანის ბუნების ონტოლოგიასთან და შეუძლია გვაჩვენოს: 1) თუ როგორ უწყობს ხელს მორალისა და უფლებების მიზნები ადამიანის სიკეთეს და წარმატებას (რაც ურთიერთდამოკიდებულია სხვა ჯგუფებთან, ბუნებასთან და პლანეტასთან); 2) ის, რომ საშუალებები, რომლებითაც ჩვენ გვსურს და გვაქვს ამ სიკეთის მისაღწევად, არ არის უბრალოდ უნებლიე ან ხელოვნური, არამედ ჭეშმარიტად ადამიანის ბუნების ნაწილია, თავისი წარმომავლობით, პროცესებითა და ეფექტებით.

თუმცა, თავიანთი დისციპლინის განსაზღვრისათვის, სოციოლოგებმა ცოდნა ყოფიერებაზე ზევით დააყენეს, ხოლო კულტურა ბუნებაზე. ისინი მიდრეკილნი არიან შეარჩიონ ვიწყო სოციალური

კონცეპტები და შეისწავლონ შემთხვევითი კულტურა და ემპირიული მონაცემები, რომლებიც განცალკევებულია უნივერსალური ბუნებიდან, ფილოსოფიური კვლევებიდან და ფარული, უჩინარი მიზეზებიდან (Bhaskar 1998). ასევე არსებობს ღრმა დაყოფა და წინააღმდეგობები ბავშვობის კვლევისადმი პოზიტივისტურ და ინტერპრეტაციულ, ხარისხობრივ და რაოდენობრივ, მიკრო და მაკრო მიდგომებს შორის.

განხეთქილებებისა და გამოტოვებების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბრიტანეთის სოციოლოგთა ასოციაციის მხოლოდ მე-16 წლიურ კონფერენციაზე (რომელიც 2011 წელს ჩატარდა) იყო პირველად მოწვეული ადამიანის უფლებების მიმართულება. და მაინც, მკითხველებს ნაკლებად თუ სჭირდებათ იმის შეხსენება, რომ ადამიანის უფლებებს უდიდესი, უძველესი და საერთაშორო დონის საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ. ბრიტანეთის სოციოლოგთა ასოციაცია 1951 წელს დაფუძნდა, ადამიანის უფლებების საერთაშორისო აღიარებისა (გაერო, 1948; ევროპული საბჭო, 1950) და ასევე საერთაშორისო კვლევის ეთიკის დამკვიდრების (ნიურნბერგის კოდექსი, 1947) შემდეგ. კატალიზატორი იყო ჰოლოკოსტის შემდეგ ჩატარებული ნიურნბერგის პროცესები. ამასთან დაკავშირებული ხარვეზები სოციოლოგიაში კვლევითი ეთიკისადმი და მონაწილეთა უფლებებისადმი უყურადღებობას წარმოადგენს. ჯანდაცვის მიმართულების კვლევებში ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე ეთიკური აქტივობებისგან განსხვავებით, რომლებიც ნიურნბერგიდან დაიწყო (ბევრი კონფერენცია და კურსები, წიგნები და ჟურნალები, ანგარიშები და შეთანხმებული სტანდარტები, როფმალური განხილვის კომიტეტები და ბიოტექნიკის ახალი დისციპლინები), სოციალურმა მკვლევარებმა სულ ახლახან, ამ საუკუნეში დაიწყეს რუტინის და მათი ნაშრომების ფორმალური ეთიკური ექსპერტიზის მიღება (ESRC, 2005).

ადამიანურ ბუნებაში ღრმად ფესვგადგმული ადამიანის უფლებების შესაძლო დასაბამისა და მტკიცებულებების განსახილველად, სტატია დაკავშირებულია სოციალურ და საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, რომლებიც ადამიანის ცხოვრებას შეისწავლიან. დავსვამ შემდეგ

კითხვებს: შეიძლება თუ არა, რომ მორალური ღირებულებები და უფლებები უნივერსალური იყოს, თუ მხოლოდ პირობითი და ლოკალური? როდის იწყება ისეთი რამ, რაც თითქოს ისეთივე ამტანია, როგორც ცალკეული პიროვნება და უფლების მფლობელი? და როგორ გვეხმარება კრიტიკული რეალიზმი ადრეული ასაკის ბავშვების ადამიანის უფლებების უკეთ გაგებაში?

შემდეგ ნაწილებში განხილულია სოციოლოგიის ისტორია ისეთი მეთოდებით, რომლებიც ვიმედოვნებ, სასარგებლო იქნება მკითხველისთვის. სოციოლოგია აანალიზებს და ინფორმირებას ახდენს ყოველდღიური საზოგადოებრივი შეხედულებებისა და ღირებულებების შესახებ, ასევე იკვლევს უჩინარ, საბაზისო რწმენებსა და პროცესებს, რომლებიც შეიძლება ეხმარებოდეს ან ბლოკავდეს სოციალურ პროგრესს. მცირე რეფორმებში წარმატება, როგორიცაა ქალების და ბავშვების უფლებები, ამ უფრო ღრმა წინააღმდეგობებისა და მასტიმულირებელი ფაქტორების გაგებას მოითხოვს. პირველად განვიხილავ იმ ოთხ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას სოციოლოგიაში, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების ღირებულებებსა და წყობილებაზე. შემდეგ განვიხილავ ამ ოთხ მიმართულებას შორის არსებულ წინააღმდეგობებსა და დიქოტომიებს, ასევე მათ კრიტიკას. შემდგომ ნაწილებში წარმოდგენილი იქნება კრიტიკული რეალიზმიდან რამდენიმე შერჩეული თემა, იმის სადემონსტრაციოდ თუ როგორ შეუძლიათ მათ ნათელის მოფენა ადამიანის უფლებებზე და დახმარება წინააღმდეგობათა მოგვარებაში. კრიტიკული რეალიზმის თემები მოიცავს არარსებობას, ონტოლოგიას და ეპისტემოლოგიას, სიღრმისეულ რეალიზმს, ჩაკეტილ და ღია სისტემებს, სტრუქტურასა და ქმედითობას და ოთხ-პლანარულ სოციალურ არსებას.

ოთხი ძირითადი მიმდინარეობა სოციოლოგიაში

მეოცე საუკუნის სოციოლოგია საერთაშორისო კოლაბორაციის პირობებში განვითარდა. წამყვანი ამერიკელი სოციოლოგები პერიოდულად სწავლობდნენ და მუშაობდნენ გერმანიაში. კონტაქტები 1930-იან წლებში გაიზარდა, როდესაც დევნილები კონტინენტალური ევროპიდან აშშ-სა და დიდ

ბრიტანეთს აფარებდნენ თავს. მარქსიდან და დიურკემიდან დაწყებული, ყველაზე ცნობილი ფუძემდებელი-სოციოლოგები ებრალები იყვნენ და შეიძლება ითქვას, სოციოლოგიის არსებობა მათი დამსახურებაა. ჰოლოკოსტმა ბევრ სოციოლოგზე მოახდინა პირდაპირი გავლენა, როდესაც ისინი თავშესაფარს ეძებდნენ და როდესაც მათი ნათესავები და ან მეგობრები საკონცენტრაციო ბანაკებში უჩინარდებოდნენ. და მაინც, ისტორიკოსებისგან განსხვავებით, სოციოლოგები თითქმის სრულ დუმილს ინარჩუნებენ ჰოლოკოსტთან დაკავშირებით (ბერძნულიდან „ყველა" და „დამწვარი"). სოციოლოგი ზიგმუნდ ბაუმანი (Zygmunt Bauman, 2003:175-6) მათ დუმილს მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე უკიდურეს სოციალურ მოვლენად მიიჩნევს, მას შემდეგ რაც მისი მეუღლე ორი წლის განმავლობაში წერდა საკონცეტრაციო ბანაკში გატარებულ პერიოდზე. ბაუმანის რწმენით, ამ საკითხზე საუბრის თავიდან აცილება თუ უარყოფა, ნაწილობრივად ინსტინქტური მორალური ზიზღით გამოწვეული ტკივილისა და შიშისგან თავდაცვის მცდელობა იყო. სოციოლოგთა ტაქტიკა მოიცავს: სისასტიკისა და სხეულის ფიზიკური წამების იგნორირებას; ამ ქმედებების განმარტებას, როგორც ეთიკური თეორიის უნიკალური და მისთვის შეუსაბამო; მათ განხილვას, როგორც ეთიკის წესისა და დადგენილი საზღვრების გამონაკლისი; ან მორალურ რელატივიზმში უკანდახევას. ბაუმანი ამ ყველა პასუხის იდენტიფიცირებას ახდენს 1940-იანი წლების სოციოლოგიაში.

სოციოლოგების ზოგადი დუმილი და თავდაცვითი შფოთვები შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდა ამ საუკუნეში მიმდინარე შემდგომი ომებით, სისასტიკითა და გენოციდით. სოციოლოგიური ჯგუფებისა თუ სკოლების ფართო წრიდან, მე შევარჩიე ის ოთხი ძირითადი მიმდინარეობა, რომლებიც 1940-იან და 1950-იან წლებში განვითარდა. ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა მდუმარე თუ ღია რეაქციებს ჰოლოკოსტის მიმართ, ასევე მათ ასოცირებას ძალადობასა და ადამიანის უფლებების დაცვასთან. რეაქციებმა შეიძლება გააღრმავა არსებული ნაპრალები და განხეთქილებები სოციოლოგიაში, მრავალ ძველ დაყოფასთან ერთად (Gouldner, 1971; Bhaskar, 1998). მანამ, სანამ ადამიანის უფლებები ზოგადად მიღებული იქნება გაბატონებულ სოციოლოგიაში, შეიძლება საჭირო იყოს იმ ფართოდ

გავრცელებული ვარაუდების ახლებურად გააზრება, რომლებიც ვრცელდება ამ განსხვავებული მიმდინარეობების მიერ და რომლებიც ამ თავში იქნება მოკლედ მიმოხილული.

1 სტრუქტურული ფუნქციონალიზმი

ტალკოტ პარსონსა (Talcott Parsons) და სტრუქტურალურ ფუნქციონალისტებს, ერთგვარი შორეული ოპტიმიზმით - რომელიც უარყოფდა ზე-ძლიერი სახელმწიფოს საშიშროებებს, თითქოს გადაწყვეტილად უნდა ეჩვენებინათ თუ როგორი შეიძლება იყოს ცივილიზებული საზოგადოება. ისინი საზოგადოებას განიხილავდნენ როგორც დიდ ორგანიზმს ან სისტემას, რომელიც ყველას საკეთილდღეოდ ფუნქციონირებდა და შეუდრეკლად იცავდა საზოგადოებას დაშლისაგან და ასევე იცავდა „ამერიკულ ღირებულებებს" კომუნიზმისა და ფაშიზმისგან. ისინი იზიარებდნენ დიურკემისა და ვებერის შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ სოციოლოგია უნდა იყოს (ან ასე უნდა ჩანდეს მაინც) შეფასებისგან-თავისუფალი იმისთვის, რომ დაკვალიფიცირდეს როგორც „მეცნიერული", შესაბამისად, ისინი პრაქტიკულ გამოყენებას უფრო უსვამდნენ ხაზს ვიდრე მორალურ პრინციპებს. ვებერის მოკრძალებული *Verstehen* - სხვადასხვა კულტურისა და მორალის გაგება (რომელიც იმპლიციტურად ეწინააღმდეგებოდა ერთიანი უნივერსალური მორალის იდეას) ასევე ძლიერ გავლენიანი იყო (Gouldner, 1971; Bhaskar, 1998; Bauman, 2003). პარსონსი (Parsons, 1951) ხაზს უსვამდა სოციალურს, ბუნებრივის ნაწილობრივად დაკნინებით/დაქვეითებით; მაგალითად, ფიზიკური სხეულის დაავადება და ტანჯვა გადაქცეული სოციალურ, დამთმობ ავადმყოფურ როლში. პასონსი იზიარებდა დიურკემის (Durheim, 1956) მორალის კონცეფციებს, რომლებიც თითოეულ საზოგადოებაში წარმოიშვებოდა უფლისმიერ კოლექტიურ ცნობიერებაში და რომლებიც ადამიანებს იხსნიდა ბრმა, უგნური, ფიზიკური ძალებისგან და ბუნებრივი ცხოველური ვნებებისაგან. ეს მორალი მოწესრიგებული ერთობის გაძლიერებას ემსახურება და ნარჩუნდება ყოველი ახალი თაობის შესაბამისი სოციალიზაციითა და განათლებით, გადახრის კორექტირებით. ადამიანის უფლებები

ნაკლებად თუ იქნება საჭირო თუკი მთავრობა კორექტული და კეთილგანწყობილი იქნება; ფუნქციონალისტები კი ადამიანის უფლებების პროტესტის გზით წარმოშობას მაშინ განიხილავდნენ როგორც გადახრას, რომელსაც კორექტირება სჭირდება და არა პატივისცემა. სოციოლოგების თვითდაჯერებულობა გაიზარდა მეცნიერების, ტექნოლოგიისა და სიმდიდრის შექმნის ხელშეწყობაში, ეფექტური და გარდაუვალად გავრცელებადი ბიუროკრატიის მეშვეობით. ვებერმა (Weber, 1970:214) ბიუროკრატია გარდაცვალებამდე, 1920 წელს აღწერა და უნებლიედ იწინასწარმეტყველა ჰოლოკოსტი:

> *„სიზუსტე, სიჩქარე...ფაილების ცოდნა, უწყვეტობა, ქმედებების თავისუფლება, ერთიანობა, მკაცრი სუბორდინაცია, უთანხმოების შემცირება... ხარჯები, საქმიანობის „ობიექტური" წარმართვა გამოთვლის წესების შესაბამისად და „პირების გათვალისწინების გარეშე" - ან პირადი ინიციატივით".*

2. ინტერპრეტივიზმი

მოითხოვს რა შეფასებებისგან ისეთივე თავისუფლებას, მეორე მიმდინარეობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ჰოლოკოსტთან დაკავშირებული შფოთვების შემცველი, პოლიტიკის, სამართლიანობის, ძალაუფლებისა და ეკონომიკის, ასევე ფიზიკური სამყაროს პრობლემების წარმოჩენით (და რეალური სხეულებისა და ტანჯვის). ამ ინტერპრეტაციულმა ჯგუფმა „სოციალური" მოაქცია დეტალური მიკრო შეტაკებებსა და შეთანხმებულ მნიშვნელობას შორის. მათ ნახეს რეალობა - არც თუ ისე რეალური, თუმცა ცნობიერების (ცოდნის) ფორმა, ისეთ სოციოლოგიურ მიდგომებში, როგორებიცაა: ფენომენოლოგია (ინდივიდუალური მნიშვნელობის შექმნა); სოციალური კონსტრუქტივიზმი (Alfred Schütz, Peter Berger and Thomas Luckmann); ეთნომეთოდოლოგია (Harold Garfinkel) და დისკურსის ანალიზი. ჩიკაგოში, კვლევაში, რომელიც განხორციელდა სიმბოლისტ-ინტერაციონისტების (Herbert Blumer, Howard Becker, Erving Goffman, Louis Wirth and Eliot Freidson, სოციოლოგ/ეკონომისტთან Gary

Becker ერთად, რომელიც ადამიანურ კაპიტალზე მუშაობდა) და კომპეტენტური თეორეტიკოსების (Barney Glaser და Anselm Strauss) მიერ, ძირითადად თავიდან იყო არიდებული ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების მოხსენიება. მიუხედავად ამ საკითხების რელევანტობისა ისეთ საკვლევ თემებთან, როგორიც იყო სიკვდილის გაცნობიერების ტოტალური ინსტიტუციები თუ ეტაპები. გამორჩეული მორალური „მე" კონცეპტები - როგორც უფლებების მფლობელისა, „მორალის ვაჭრების" მიერ დაიშალა პრეზენტაციების და პერფორმანსების სერიებად (Goffman, 1969:222). ბერგერი და კიოლნერი (Berger and Kellner, 1981:141-2) მტკიცედ აცალკევებენ სოციოლოგიას მორალისგან და ამტკიცებენ, რომ ისეთი მაცდური იდეოლოგიების ამაო ძიება, როგორიცაა მარქსიზმი და რელიგიები, რომლებიც ეგზისტენციალურ იმედს და მორალურ წინამძღოლობას გვთავაზობენ, მთელი თავისი ფანატიზმით უნდა იქნეს თავიდან აცილებული. ბავშვობის კვლევებზე ძირითადად ეს მიმდინარეობა ახდენს გავლენას, როდესაც სოციოლოგები, გეოგრაფები და ანთროპოლოგები შეისწავლიან მთელ რიგ განსხვავებულ ბავშვობებს და აჩვენებენ მათ კონტრასტულობას სოციალურად და არა ბიოლოგიურ განსაზღვრულობას. შესაბამისად, მკვლევარები ეჭვქვეშ აყენებენ ფსიქო-სამედიცინო თეორიებს ბავშვის უნივერსალური განვითარების შესახებ (James and Prout, 1997). შეიძლება ემანსიპატორული იყოს შემთხვევები როდესაც ადრეული ასაკის ბავშვების შესახებ ანგარიშები - მსოფლიოს ღარიბი უმრავლესობიდან, რომლებიც მცირე ბიზნესებს მართავენ (Invernizzi, 2008) ან ჯარისკაცებად მუშაობენ (Brett and Specht, 2004), უარყოფენ დასავლურ ვარაუდებს რვა წლის ასაკის ბავშვების გარდაუვალ და მეტად უმწეო დამოკიდებულებაზე.

მოგვიანებით, ამ ინტერპრეტაციულ ტრადიციაში, ბრაიან ტერნერმა (Bryan Turner, 2008) ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანესი სოციოლოგიური დაცვა მოახდინა, რომელიც დაუკავშირა რელიგიას, ბოროტებას და ადამიანების ცხოველურ მოწყვლადობას და გახანგრძლივებულ ბავშვობას. ჩვენ გვჭირდება უფლებები, იმიტომ, რომ მარტივად ვშავდებით და არ ვართ სრულიად დაცული ჩვენი სოციალური ინსტიტუტების მხრიდან; ჩვენ ვიზიარებთ „კოლექტიური თანაგრძნობისა" და

ერთმანეთის ტანჯვის შემსუბუქების მთავარ ღირებულებას. თუმცა, ტერნერი ტენდენციურად გამოყოფდა სხეულების სოციალურ და „აზრობრივ" მომენტებს, ბუნებრივი და ადამიანების შინაგანი და სხეულების სახით არსებობისგან. ის აცხადებდა, რომ სოციოლოგები ძირითადად დაინტერესებულები არიან პირველით, „სხეულის კულტურული დეკოდირებით, როგორც მნიშვნელობის სისტემა" და ასევე „ხორცშესხმის ფენომენოლოგიური კვლევით" და პრაქტიკებით (Turner, 2008:15).

3. კრიტიკული თეორია

ძალიან განსხვავებული მიმდინარეობა უფრო კრიტიკული იყო დაჩაგრულობისა და ჰოლოკოსტის მიმართ. მის რიგებში შედიოდნენ აშშ-ში ევერეტ ჰიუჯისი (Everett Hughes), რომელმაც ნაციზმის იშვიათი კრიტიკა დაწერა, სი რაით მილსი და ელვინ გოულდნერი (C Wright Mills and Alvin Gouldner). იყო ასევე ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, დროებით გაძევებული იყო ნიუ იორკში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრიტიკული თეორეტიკოსები იყვნენ, ზოგიერთი მათგანი ტენდენციურად ხაზს უსვამდა სუბიექტურ ფსიქოლოგიას და ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიკის თავიდან არიდებას (Bottomore, 2002). დაახლოებით 1980-დან 2007 წლამდე, ამ მესამე ჯგუფის კრიტიკულ-მარქსისტულმა მიდგომამ, რომელიც ყველაზე მეტად განიხილავდა ჰოლოკოსტს, დაკარგა თავისი გავლენა, თუმცა, დღეისათვის მარქსიზმი უფრო პოპულარული ხდება, როგორც დღევანდელი პრობლემების გაანალიზების საშუალება, რომელიც ნაწილობრივად შემდგომი - მეოთხე ჯგუფის შრომებიდან იღებს სათავეს.

4. ეკონომეტრიკა

მეოთხე მიმდინარეობის ძირითდი ინტერესი ეკონომიკა და პოლიტიკა იყო. მათი რეაქცია ჰოლოკოსტზე იყო სოციალური რეფორმის დაგეგმარება, რომელიც სავარაუდოდ ნაციზმისა და

კომუნიზმის ანტითეზისი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მათ რიგებში ძირითადად ეკონომისტები და ფილოსოფოსები შედიოდნენ, მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ სოციოლოგიის ისტორიისათვის მისი ეკონომიკაში მიმავალი ფესვებით - გამოვლენილი მარქსის, ვებერისა და პარსონსის მიერ. ჩიკაგოს სოციოლოგები (მე-2 მიმდინარეობა) ეკონომისტებთან ერთად ერთ შენობაში მუშაობდნენ (და ზოგიერთ მეცნიერთან ერთად, მაგ. გერი ბეკერი). შესასვლელზე იყო წარწერა - „მეცნიერება განზომილებაა". ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი (Milton Friedman) იქ ფრედერიკ ფონ ჰაიეკთან (Frederick von Hayek) და კარლ პოპერთან (Karl Popper) ერთად მუშაობდა, რომლებიც დევნილები იყვნენ ვენიდან და დაფუძნებული ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. მათი მონტ პელერინის საზოგადოება (Mont Pelerin Society) 1940-იანი წლებიდან პროპაგანდას უწევდა ნეოლიბერალურ პოლიტიკას მსოფლიოს მასშტაბით (Klein, 2007; Mirowski and Plehwe, 2009).

მათი ზიზღი „ბატონყმობის" მიმართ, სტალინისტური და ნაცისტური სისასტიკის პერიოდში, კვებავდა მათ შთაგონებებს თავისუფალ, არარეგულირებად „ღია" საზოგადობებსა და ბაზრებთან დაკავშირებით. ნეოლიბერალური პროგრამები ზედამხედველობდნენ სოციალური კვლევების სამთავრობო დაფინანსების გაყოფას და გადაცემას სოციალური პოლიტიკის, ეკონომიკის, სტატისტიკისა და ბიზნეს განყოფილებებისთვის, ასევე კომერციული სააგენტოებისთვის. ინტერესი სოციალური ურთიერთობების, ადამიანის უფლებების ასპარეზის მიმართ, კოლონიზებულია და დაპყრობილია ამჟამინდელი ყველაზე გავლენიანი და კარგად დაფინანსებული პროგრამებით, როგორიცაა უდიდესი გამოკითხვები და შეფასებები ხარჯის ეფექტურობასთან, მტკიცებულების ბაზასთან და ბედნიერების საზომთან დაკავშირებით (Layard, 2006).

ნეოლიბერალების ენთუზიაზმმა თავისუფლების მაღალკვალიფიციური ფორმის მიმართ (უფრო ბაზრების ვიდრე ხალხისა ან უფლებების) ჩამოაყალიბა სოციალური კველევის მეთოდები, ასევე ფუნქცია და თემები. პოპერი (Popper, 1945/1965) ამტკიცებდა, რომ თანამედროვე მეცნიერება, რომელიც მე-17 საუკუნის განმანათლებლობის პერიოდში ჩამოყალიბდა, „ალბათ, ისტორიაში

უდიდესი მორალური და სულიერი რევოლუცია” იყო თუმცა მან „შექმნა შემზარავი, გამანადგურებელი ძალები; მაგრამ მათი დამარცხება ჯერ კიდევ შესაძლებელია, როცა ადამიანები „გაითავისუფლებენ თავს და გონებას ავტორიტეტისა და ცრურწმენებისაგან” და „ააშენებენ ღია საზოგადოებას”. ისინი ამას აკეთებენ, მაშინ, როდესაც თავისუფლად უქვემდებარებენ ნებისმიერ იდეას თუ ტრადიციას საგულდაგულო დედუქციურ კვლევას და ფალსიფიცირებას, რათა შეამოწმონ „შეესაბამება თუ არა იგი მათი თავისუფლების, ადამიანობისა და რაციონალური კრიტიკის სტანდარტებს”. შემდეგ მათ შეუძლიათ „იწილადონ პასუხისმგებლობის ტვირთი თავიდან აცილებადი ტანჯვისთვის, და ... მუშაობენ ამ ტანჯვის თავიდან აცილებისათვის”. ეს მაღალი იდეალები დაედო საფუძვლად, მაგალითად, საერთაშორისო კოკრეინის თანამშრომლობას (Chalmers, 2005), რომელიც ამოწმებს ჯანდაცვის, სოციალურ და საგანმანათლებლო მომსახურებაში ბევრი ჩარევის რენტაბელურობის მტკიცებულებებს.

ამ ოთხი მიმდინარეობის დანაწევრების შესახებ შეჯამება წარმოდგენილია ალფრედ შუტცის (Alfred Schutz) მაგალითში. ვენაში, ჰაიეკის კურსელი ეკონომიკის ფაკულტეტზე, 1930-იან წლებში ნიუ იორკში გაიქცა. მან აღადგინა თავისი ბანკირის კარიერა და ესწრებოდა მონ პელერინის (Mont Pelerin) შეხვედრებს (მე-4 მიმდინარეობა), ამ პერიოდში მან ასევე განავითარა სოციოლოგიური ფენომენოლოგია (მე-2 მიმდინარეობა), რომელიც მეტწილად მოწყვეტილი იყო ეკონომიკური, პოლიტიკური, მატერიალური და მორალური მოსაზრებებისაგან. ოთხი მიმდინარეობა ეწინააღმდეგება ერთმანეთს თეორიული თვალსაზრისით, მიზნებსა და მეთოდებში: უნდა თუ არა გაიზომოს და დაიშვას ყოველდღიური რეალობა თუ მისი გაგება უნდა ვცადოთ, მისი რეალობისა თუ უნივერსალობის ეჭვქვეშ დაყენების პირობებში.

ოთხი მიმდინარეობის კრიტიკა

ამ ნაწილში განხილული იქნება მიმდინარეობათა უწყვეტი გავლენები, კერძოდ კი ადამიანისა და ბავშვების უფლებების სოციალურ კვლევასთან დაკავშირებით. ამ ოთხ ტრადიციას შორის არსებული ზოგიერთი გარღვევა შემცირდა, მაგალითად ბავშვების კვლევის სფეროში, რომელიც ამჟამად ყველაზე აქტიურია (სამთავრობო დეპარტამენტებისა და კვლევითი საბჭოების დაფინანსებით, ასევე საერთაშორისო მონეტარული ფონდისა და სხვა მსგავსი სააგენტობის დაფინანსებით). დაკვეთილი კვლევები აერთიანებენ სოციალური წყობის ფუნქციონალისტურ ხელშეწყობას (1-ლი მიმდინარეობა) და პოზიტივისტურ გამოკითხვებს (მე-4 მიმდინარეობა), რომლებიც ინახება მონაცემთა უდიდეს ბანკებში ბავშვების ხარჯებთან დაკავშირებული საჭიროებებისა და შესრულების, ასევე მომსახურებების შესახებ, რომლებიც მხარს უჭერენ და აკონტროლებენ მათ. ბავშვები იმპლიციტურად ტვირთს წარმოადგენენ, ან ინვესტიციებს და მომავალში უფროსი თაობების პენსიებისა და ვალების დაფინანსების წყაროს, და არა უნიკალურ პიროვნებებს ან უფლებების მფლობელებს (მაგ, Dex and Joshi, 2005). ახალდაბადებულთა კოჰორტას, რომელიც 2012 წელს დაიწყება, ლონდონის საუნივერ-სიტეტო კოლეჯში გააჩნია პირველადი დაფინანსება 33 მილიონი სტერლინგის ოდენობით.

გოულდნერი და ბაუმანი არ ენდობოდნენ ფუნქციონალიზმის იძულებით კონსენსუს, მიაჩნდათ, რა, რომ ინელექტუალური და მორალური ცოდნა ვითარდება განსხვავებებისა და კონფლიქტის პირობებში, არაფორმალური „არსებობით-სხვებთან" და სოკრატეს მსგავსად, განაწილებული როლებიდან „გამოსვლის" გზით. გოლდნერმა (Gouldner, 1971) გააანალიზა თუ რამდენად შეუდრეკ-ლად უტალიტარული იყო ფუნქციონალიზმი კარგად მოწესრიგებულ სოციალურ ორგანიზმში, სადაც ღირებულია თითოეული ნაწილი თავისი ფუნციონირებისა თუ სარგებლის მიხედვით, ისეთი მორა-ლური ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც ხელს შეუწყობს წესრიგს და ეფექტურობას და არა სამართლიანობას. ბაუმანისა და სხვების, მაგალითად ჰანნა არენდის (Hannah Arendt) მოსაზრებით, ჰოლოკოსტი არ იყო თანამედროვე ცივილიზაციის მარცხი, არამედ მისი პროდუქტი იყო. ისინი

პირიქით აბრუნებენ ვებერისა და პარსონის მსუბუქ ბიუროკრატიულ წესებს და ამტკიცებენ, რომ ჩვენულებრივ, კარგ ადამიანებს შეუძლიათ ბოროტების ჩადენა, როდესაც ისინი ემორჩილებიან ექსპერტების ბრძანებებს, გადასცემენ ვალდებულებებს იერარქიულად და ვეღარ აღიქვამენ მსხვერპლს პიროვნებად. ბაუმანისთვის, (Bauman, 2003), ჰოლოკოსტის დროს დამნაშავეები, მოწმეები და შედარებით იშვიათი საპროტესტო აქციების მონაწილეები გვაძლევენ საბოლოო გაკვეთილს ადამიანური სიკეთისა და ბოროტების ზღვარის შესახებ. მორალს იგი დიურკემის იძულებითი ნორმებისადმი მორჩილებასთან კი არ აიგივებს, არამედ პროტესტის გამოხატვისა და ინდივიდუალური სინდისით მოქმედების იშვიათ გამბედაობასთან, განსაკუთრებით უსამართლო და სასტიკ საზოგადოებებში. ეს გამბედაობა სოლიდარობისა და ალტრუიზმის პრინციპებს პირად გადარჩენაზე მაღლა აყენებს და გამოხატულია არაბი გამპროტესტებლების მიერ 2011 წელს, რომლებიც ამბობდნენ „ჩვენ მოვკვდებით ჩვენი თავისუფლებისთვის", გულისხმობდნენ რა თავიანთ მზაობას მომკვდარიყვნენ სხვა ადამიანების თავისუფლებისთვის. ისინი ფანტავენ მითებს იმის შესახებ, რომ მხოლოდ დასავლელები სცემენ პატივს საყოველთაო თავისუფლებასა და სოლიდარობის უფლებებს.

როგორც უკვე აღინიშნა, დიურკემი (Durkheim, 1956) თითოეულ საზოგადოებას განიხილავდა როგორც ამ საზოგადოების საკუთარი მორალის წყაროდ; იგი მორალს/ზნეობას საზოგადოებრივი წესრიგის ეფექტურად შენარჩუნებისათვის აფასებდა, ხოლო განათლებას კი - დამყოლ მოქალაქეთა რიგებში გაწვევისათვის. თუმცა, ეს შეხედულებები სოციოლოგებს უშლიდა ხელს სხვადასხვა მორალის დამოუკიდებელ შეფასებაში და შედარებაში, თუკი ისინი განიხილებოდნენ როგორც აბსოლუტურად თანაბარი და მხოლოდ მათივე პირობებში გაგებადი/აღქმადი. ამ შეხედულებების თანახმად, პრე-სოციალური პირები (ბავშვები) და „შეუსაბამო" ადამიანები „დისფუნქციურები" ან ამორალურები არიან. შესაბამისობა განიხილება როგორც ერთადერთი მორალური ვარიანტი როდესაც „მოქმედებები იმიტომ ითვლება ბოროტად, რომ აკრძალულია სოციალურად, და არა პირიქით - სოციალურად აკრძალულია იმიტომ რომ ბოროტია" (Bauman, 2003:173). მმართველების მიმართ

სრული რწმენა - რომლებიც განსაზღვრავენ ნორმებს, აიგნორებს იმას, რომ ეს მმართველები ვერ გარანტირებენ მაღალ ზნეობას და შეიძლება დაამახინჯონ ნორმები გახრწნილი ინტერესების სასარგებლოდ. „მორალების" ის ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია და დაწინაურებულია თითოეულ საზოგადოებაში, უარყოფს საყოველთაო პრინციპების შესაძლებლობას და შესაბამისად, საყოველ-თაო ადამიანის უფლებებს. ისინი, ასევე ძირს უთხრიან თავად მორალის/ზნეობის ღირებულებასა და მნიშვნელობას, ვინაიდან, თუკი მორალი ურთიერთშემნაცვლებელი შეიძლება იყოს, მათი მიზანი და ბუნება საეჭვო ხდება, „ერთჯერადია" თუ არა.

შეხედულება, რომ მორალური ნორმები თავს უნდა მოეხვიოს განუხრელად ანტისოციალურ მცირეწლოვან ბავშვებს, გულისხმობს, რომ მორალი ადამიანის ბუნების საწინააღმდეგოდ მუშაობს. თუმცა, ბაუმანი კითხულობს: თუკი ჩვენ ყველა პრიმიტიულ მხეცებად ვიბადებით, მაშ საზოგადოებების სიკეთის ცნებები საიდან მოდიან? როგორ შეიძლება მათი წარმოდგენა ან გამოგონება, თუკი ისინი ასე უცხოა ჩვენი ბუნებისათვის? მეცნიერი ამტკიცებს, რომ საყოველთაო მორალი/ზნეობა წარმოადგენს გამბედაობას მიჰყვე ინდივიდუალურ სინდისს, დაიცვა და გინდოდეს სიკვდილი სამათლიანობისა და სოლიდარობისათვის. "სოციოლოგიური თეორიისათვის, თავად იდეა მორალური ქცევის პრე-სოციალურ საფუძვლებზე წინასწარმეტყველებს მორალური ნორმებისა და სავალდებულო ძალაუფლების წყაროების სათავეების ტრადიციული ინტერპრეტაციის რადიკალური გადამოწმების საჭიროებას" (Bauman, 2003:177). მიუხედავად იმისა, რომ ბაუმანი არ ავრცობს ამ საკითხს, იგი საუბრობს თანდაყოლილი მორალის შესაძლებლობებზე ადრეულ "პრე-სოციალურ" ბავშვობაში, რასაც მოგვიანებით მიმოვიხილავთ.

სოციოლოგიაში რჩება სხვა დიქოტომიები. ეიჯისტების ძირითადი მიმდინარეობა აგრძელებს ბავშვების იგნორირებას და "უფროსების სამყაროსთან" მიმართვას (ყოფილი "მამაკაცის" სამყარო), რომლის არსებითად განუყოფელ ნაწილსაც ბავშვები წარმოადგენენ. ტანდემში, ბავშვობის "ახალი" კვლევების უმეტესობა ცალკ-ცალკე "იწყება და გარკვეულ წილად მთავრდება ბავშვებისა და ბავშვობის

კვლევით” (James, 2010:215-6). მაგრამ როგორ მთავრდება ბავშვობა? დროში, ასაკი, რომელიც ბავშვობას ამთავრებს სხვადასხვა და გაუკრკვეველი. სივრცეში, საზღვრები ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის საზღვრები ასევე მერყევი და ფოროვანია, ამასთან ვირტუალურად, საზოგადოების ყველა ნაწილი ბავშვობასთან ურთიერთქმედებს.

როდესაც ბავშვების - როგორც სოციალური აქტორების საკუთარი შეხედულებები პირდაპირ შეისწავლება, მკვლევარები ეყრდნობიან მე-2 მიმდინარეობის მიკრო, ინტერპრეტაციულ მიდგომებს, რომელიც ძირითადად განცალკევებულია უფრო დიდი პრობლემების მქონე 1-ელი, მე-3 და მე-4 მიმდინარეობებისგან. პირობითი რწმენებსა და ქცევებზე ზედმეტი აქცენტირება, ასევე “ბავშვობაზე, როგორც უწყვეტად განცდილ და შექმნილ სოციალურ ფენომენზე” (James and Prout, 1997:245), შეიძლება გარდაიქცეს კულტურულ რელატივიზმში, რომელიც საყოველთაო სტრუქტურების, პრინციპებისა და უფლებების უარყოფის რისკის ქვეშ დგება. ლიუკსი (Lukes, 2008) აკრიტიკებს რელატივიზმს და ამბობს, რომ თითოეულ კულტურაში თითქოს თანაბარი პატივისცემა სხვა არაფრით მთავრდება გარდა ტოლერანტობის პატივისცემისა, თითქოს ის სამართლიანობაზე და სხვა პრინციპებზე მაღლა დგას. ტოლერანტობა კი უჩვეულოდ ნეგატიური ცნებაა; ჩვენ არ “ვითმენთ” იმას, რაც გვიყვარს და რასაც ვეტრფით. ლიუკსის მტკიცებით, ჩვენ შეგვიძლია პატივი ვცეთ ლოკალურად მრავალფეროვან გამოვლინებებს, რომლებიც საფუძვლად უდევთ საყოველთაო პრინციპებს.

შემდგომ პრობლემას წარმოადგენს სოციალური კონსტრუქტივიზმის ორმაგი სტანდარტები, როდესაც ისინი მაგალითად იმას აცხადებენ, რომ “მკვლევარმა ჭეშმარიტება კი არ იცის, იგი უფრო იწერს და ინტერპრეტაციას უკეთებს “სხვა” მრავალ სოციალურ სუბიექტურობებს (Beazley et al., 2009:369). და მაინც, თუკი ჭეშმარიტება არ არსებობს, როგორ შეიძლება ეს განცხადება და მკვლევართა ტექსტები სხვა რამე იყოს გარდა “სოციალური სუბიექტურობისა” რაიმე არსებითი, გადატანითი მნიშვნელობისა თუ რელევანტურობის გარეშე ადგილისა თუ დროის მიხედვით?

გარკვეული მდგრადი რეალობების გარეშე, როგორ შეგვიძლია უსასრულო რეგრესის თავიდან აცილება?

ტერნერის მიერ ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი დადასტურება/დამტკიცება ნაწილობრივად იზიარებს დიქოტომიებს, რომლებიც მე-2 მიმდინარეობას უდევს საფუძვლად: აზროვნება - ყოფიერების წინააღმდეგ; გაფრთხილება "სხეულის "არ განვითარებასთან" დაკავშირებით (2008:245) თითქოს სხეულები არ არაა რეალური; ძლიერი მაგრამ არასაიმედო სტრუქტურები - სუსტი, ანონიმური აგენტების წინააღმდეგ; პირობითი უყურადღებობა პოლიტიკის, ეკონომიკისა და ისტორიის მიმართ; სოციოლოგიური თეორიები ნაცისტური გავლენის ქვეშ მყოფი წარსულით, მაგრამ სავარაუდოდ შეფასებისგან თავისუფალი აწმყოთი. დიქოტომიებმა შეიძლება შეაფერხოს ყურადღება ორი საკითხის მიმართ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებების სათავეების კვლევაში: რეალური სხეულები და ადამიანური აგენტები, რომლებიც ურთიერთქმედებენ პოლიტიკურ სტრუქტურებთან; ასევე როგორ და რატომ ხდება სოციოლოგიაში უფლებების ასე ძლიერ უგულებელყოფა. ტერნერი ადამიანის დაუცველობის მოდელს ნიცშეს მიაწერს, არნოლდ გელენისა (Arnold Gehlen), რომელიც "საკამათოა" და ტერნერი აზრით იმიტომ, რომ ის იყო ნაცისტების მაღალი თანამდებობის პირი, მოგვიანებით კი ნეოკონსერვატორი და ასევე პიტერ ბერგერის (Peter Berger) მეშვეობით, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობა ნაცისტურ გერმანიაში აქვს გატარებული, თავის 1967 წელს გამოქვეყნებულ წიგნში - "წმინდა საფარი" ადიდებს ძლევამოსილ სტრუქტურებს. გელენი (Gehlen, 1988, ციტატა Turner, 2008:9-11) თვლიდა, რომ "ადამიანები" (კაცები) "ჯერ კიდევ არ არიან ბოლომდე გაცხოველებულები" და გადარჩენა დამოკიდებულია ხანგრძლივ განათლებაზე, თვით-დისციპლინაზე, სწავლებაზე და გამოსწორებაზე და ძლიერი, მდგრადი, კულტურული ინსტიტუტებისა და შრომითი უნარჩვევების ჩამოყალიბებაზე, რათა ცხოვრებას ბმულობა, მნიშვნელობა მიენიჭოს და გათავისუფლდეს ინსტინქტური მოტივებისგან. გელენი ეწინააღმდეგებოდა ყველა ცვლილებას მიიჩნევდა რა მათ დამანგრევლად და აფრთხილებდა

ინსტიტუტების კრიტიკის საფრთხეების შესახებ. ეს საკითხები რომ გამოთქმულიყო 2011 წლის "არაბული გაზაფხულის" დროს, მათ გამოთქვამდნენ დიქტატორები და არა გამპროტესტებლები, რომლებიც თავიანთ ადამიანის უფლებებს იცავდნენ. ტერნერი (Turner, 2008:10) აღნიშნავს, რომ "გარკვეულწილად პარადოქსულია, მაგრამ გელენის ნაშრომი, მნიშვნელოვანი იყო სოციალური კონსტრუქტივიზმის განვითარებაში", რომლის ვარაუდითაც, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მუდმივად ვიფიქროთ ყოველდღიური ცხოვრების უამრავ ასპექტზე, ქვეცნობიერად ვაპროექტებთ პრაგმატულ, იმთავითვე განსაზღვრულ, ფაქტიურ ხასიათს სოციალურ სამყაროზე. ამ ილუზიის გამოსააშკარავებლად, გარფინკელმა (Garfinkel) ჩაატარა "დეგრადაციის" ეთნოგრაფიული ექსპერიმენტები, რომლებიც გოულდნერმა (Gouldner, 1971:390-5) გააკრიტიკა და სასტიკი უწოდა.

გარფინკელი აჩვენებს, რომ "შეფასებისგან-თავისუფალი" სტანდარტების საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან სოციალურ მეცნიერებაში დანერგვის ერთ-ერთი თანხმლები საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში ყურადღება არ ექცევა ეთიკას; გამოდის, რომ თითქოს კვლევა ადამიანებთან და ადამიანებზე თავისი მნიშვნელობებითა და მიზნებით მორალურად ნაწილაკების კვლევის ტოლფასია. შეფასებისგან თავისუფალმა პოზიტივიზმმა, შესაძლოა ხელი შეუწყოს მორალურ გულგრილობას; ინტერპრეტაციულმა კვლევამ, შესაძლოა მორალურ რელატივიზმამდე მიგვიყვანოს; სოციალური კონსტრუქტივიზმი შეიძლება გულისხმობდეს იმას, რომ სხეულები და ტანჯვა რეალურად არ არსებობს ან არაა მნიშვნელოვანი, ხოლო მკვლევრები, რომლებიც ცდილობენ ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას და უგულებელყოფენ კონფლიქტებსა და შეუსაბამობებს უფლებამოსილებებსა და ინტერესებს შორის, პასუხისმგებელნი არიან ძლევამოსილი "სტატუს-კვო"-ს მხარდაჭერის გამო (Gouldner, 1971; Bauman 2003; Freeman, 2011:117-8). მოთხოვნა, რომ სოციალური მეცნიერება უნდა იყოს შეფასებისგან თავისუფალი პარადოქსულად წარმოშობს მორალურ მტკიცებას რომ "უნდა იყოს თავისუფალი" და არა ფაქტიურ მტკიცებას რომ "სოციალური მეცნიერება თავისუფალია შეფასებისგან", ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ის არ არის თავისუფალი შეფასებისგან.

ასეთნაირად, ბრძანება/კანონი არღვევს იმ წესს, რომლის თავს მოხვევასაც თავადვე ცდილობს. პოპერიც (Popper, 1945/1965) კი საზღვრავდა თავის განუხრელ პრეტენზიებს კვლევაში ობიექტურობასთან დაკავშირებით, უფრო ფართო მორალური ჭეშმარიტების მოთხოვნების ფარგლებში თავისუფლებასთან, შეცდომებსა და თაღლითობის დაპირისპირებასთან დაკავშირებით.

მორალი იმდენად ნიშანდობლივია ადამიანის პირობებისა და ურთიერთობებისათვის, რომ სოციალური სამყაროს ობიექტური კვლევის, ემპირიული ფაქტების მორალური ღირებულებისაგან განცალკევების მცდელობები ვერ წაშლიან მორალს. გოულდნერი (Gouldner, 1971) თვლის, რომ ეს მცდელობები უბრალოდ ხელახლა განსაზღვრავენ და ალაგებენ სამყაროს სხვა მორალური ქცევების - წინდახედულობისა თუ მოგების, სარგებლიანობის თუ წესების დაცვის მიმართ ან კიდევ გოფმანის (Goffman) შემთხვევაში, იერსახის მიმართ. ჩვეული ადამიანური დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ ძალაუფლება სიკეთესთან გაიგივდეს. როდესაც "შეფასებისგან თავისუფალი" უტილიტარიზმი ხშირად იმეორებს, რომ ძალაუფლების ობიექტები (მაგალითად ფინანსებს) მოკლებულია მორალს და ფასეულობები (მაგალითად უფლებები და სამართლიანობა) მოკლებულია ძალაუფლებას, ზოგადად შეუსაბამოდ აღიქმება (Gouldner, 1971:84f). ადრეული მორალი/ზნეობა, რომლებიც ადამიანის ბუნებიდან, მიჯაჭვულობიდან და საზიარო მოთხოვნილებიდან, "სიკეთის, გამბედაობის, თავაზიანობის, ერთგულების, სიყვარულის, კეთილშობილებისა და მადლიერების" პრინციპები ჩანაცვლდა ანგარებიანი რაციონალური პირადი ინტერესებით, რომელიც ამ პრინციპებს უარყოფს როგორც გრძნობას, "ფაქიზად ნიღბავს სიხარბეს" და პირად ღირებულებას აქცევს გაცვლით ღირებულებად (1971:75). გარდა იმისა, რომ ბავშვებს საგნებივით (საქონელივით) ეპყრობიან, რომელთაც ინდივიდუალური ფასი და მარკირება უნდა ჰქონდეთ, კვლევის მონაცემთა ბანკების ინდუსტრიული მასშტაბი მათ რისკის ალბათობების უსახელო კოჰორტებად მიიჩნევენ (Dex and Joshi, 2005). მორალური მსჯელობების გამოყენებითი მსჯელობებით ჩანაცვლება ანომიის საშიშროებას ზრდის (Gouldner, 1971) და ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან, როდესაც უფროსები ისეთ

უტილიტარულ გადაწყვეტილებებს ღებულობენ, სადაც არ გაითვალისწინება ბავშვების შეხედულებები, მსჯელობები და არსებული კეთილდღეობა და სადაც მათ ეპყრობიან როგორც "სხვებს" (ჯერ არ არიან ადამიანები ან უფლებების მფლობელები), როგორც უფროსების მიზნების მიღწევისათვის სახარჯი საშუალებები და მომავალი შედეგები. თუკი მორალური სტიმულები ჯოლდოდ და სასჯელად მიიჩნევა და არა პირად მოტივაციად თუ ვალდებულებად, მაშინ ალტრუისტული მორალი უსიტყვოდ განიხილება როგორც ადამიანის ეგოისტური ბუნებისთვის არადამახასიათებელი და მისი საწინააღმდეგო. გოულდნერი (Gouldner, 1971) მიიჩნევს, რომ სოციალური კვლევა (1-ლი და მე-4 მიმდინარეობის გავლენის ქვეშ) შეიძლება ემსახურებოდეს ფუნქციის გაზომვას, რესურსების გადანაწილების გამართლებას დამსახურების მიხედვით და არა საჭიროების მიხედვით, ექსპლუატაციასა და თანასწორობასთან დაკავშირებული შფოთვების შემსუბუქებას, მეცნიერების სანქციის დაკისრებით საჯარო წესრიგზე. ჰაინსი და სხვ. (Hynes et al., 2011:826-77) განსაზღვრავენ პოზიციების მთელ რიგს, დაწყებული მიმდევარით თუ მნიშვნელოვნად ჩართულით და ერთგულით, დამთავრებული სკეპტიკოსით და ცინიკოსითაც კი, რომელთაგან ყველას აქვთ როგორც მორალური ასევე ინტელექტუალური ბაზისი.

მე-4 მიმდინარეობაში, პოპერისა და ჰაიეკის თავისუფლების კომპლექსური, აშკარა იდეალები და თავიდან აცილებადი ზიანის პრევენცია ნაკლებად შეეფერება მათი ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგებს თანამედროვე უკიდურესი სიღარიბის, უთანასწორობის და ღარიბების სადამსჯელო რეპრესიების პირობებში (Klein, 2007). კაპიტალის, ვაჭრობისა და შრომის თავისუფალმა მოძრაობებმა, რომელსაც ისინი იცავდნენ, გამოიწვია მუშათა მასობრივი მიგრაცია, ხელფასების შემცირება და ოჯახების დანაწევრება (Wacquant, 2009), რამაც უაღრესად დიდი გავლენა იქონია ბავშვებზე და მათ ყველა ადამიანის უფლებებზე. ირონიულია, რომ ადამიანის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია სოლიდარობასთან და სამართლიანობასთან (გაერთიანებული ერები 1948, 1989), ხშირად არასწორად გაიგება და უარყოფილი ხდება როგორც დაქუცმაცებული, ეგოისტური ინდივიდუალიზმი, რომელსაც

ნეოლიბერალები იცავენ. ნეოლიბერალების თანახმად, მართული სტრუქტურები ასუსტებენ ინდივიდუალურ თავისუფლებას, მაშინ, როცა რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, არაბული პროტესტები აჩვენებენ თუ როგორ აძლიერებს უფრო მყარი დემოკრატიული და სამართლებრივი სტრუქტურები ადამიანის ქმედითობას და თავისუფლებას. აღნიშნული უფრო მეტად სტრუქტურისა და ქმედითობის ინტერაქტიულ, დიალექტურ თეორიებში იგრძნობა, ვიდრე დიქოტომურის ფარგლებში.

იურისტი კონორ გირთი (Conor Gearty, 2011) ადამიანის უფლებებს განიხილავს როგორც "ეთიკური არქიტექტურა, რომელიც აუცილებელია ღირსეული ყოველდღიური ცხოვრებისათვის" და "ერთადერთი თანამედროვე იდეა ნამდვილი საყოველთაო და პროგრესული მოწოდებით...ზედმეტად მნიშვნელოვანი იმისვის, რომ დარჩეთ ლიბერალებს, ბაზრის მონებსა თუ ნეო-კონსერვატორებს". უფლებები წარმოადგენს ერთ-ერთს იმ მცირე ეთიკური რესურსებიდან რაც ამჟამად გაგვაჩნია, დასავლეთის "ბაზრის ბატონობის პოსტ-სოციალურ, პოსტ-რელიგიურ ბურუსში", როდესაც უფლებები იცავს ყველას ღირსებას დამოუკიდებელი კანონის უზენაესობის, თემის თვითმმართველობისა და განსაკუთრებით, სამართლიანობის წინაშე ანგარიშვალდებული სტრუქტურების მეშვეობით. გირთის (Gearty) მოსაზრებით, უფლებები აკავშირებს უფრო მდიდარი უმცირესობის მსოფლიო ქვეყნებს ღარიბი უმრავლესობის ენერგეტიკულ რადიკალიზმთან და მათ პრეტენზიებს უფლებებთან დაკავშირებით. უფლებები ასევე აკავშირებს ერთმანეთთან მსოფლიოს საუკეთესო რელიგიებს. მომავალ თავში განხილულია უფლებების სოციოლოგიისადმი ალტერნატიული მიდგომები, რომლებითაც დიქოტომიები გადაილახება.

კრიტიკული რეალიზმი და ადამიანის უფლებები

ბასკარი (Bhaskar) მიუთითებს უფრო ღრმა პრობლემაზე, რომელიც სოციოლოგიას აფერხებს. თუკი მორალი და უფლებები მხოლოდ ეპისტომოლოგიაა, დამყოლი მოტივტივე იდეების სოციალური კონსტრუქცია, მაშინ მათი ონტოლოგია - რეალური დამოუკიდებელი არსებობა, ვთქვათ, სასიკვდილო წამებისა და დეპრივაციის, გაუწყლოებული ბავშვებისა და უსაფრთხო წყლის რეალობების არსებობა - უარყოფილია. თუკი "მარტო რწმენები, ცოდნა, ენა, აღწერილობები არსებობს, ვერაფერს ვერ დაიმოწმებ რწმენების გარდა" ან კრიტიკულად შეისწავლი თუ რას აღწერენ ან რის დაფიქსირებას ცდილობენ ისინი. ამის შემდეგ უკვე ვეღარ იფიქრებ "დისკურსზე, რომელიც საშუალებას მოგცემს კრიტიკულად შეაფასო ჩვენი ამჟამინდელი პრეტენზიები ცოდნის მიმართ...მათი იდეოლოგიური ფუნქცია" (Bhaskar, 2011:81-2). კრიტიკული რეალიზმი გვაძლევს ამ პრობლემების გადალახვის საშუალებას.

არარსებობა

ცენტრალური სიცარიელის ირგვლივ ზემოაღნიშნული აბნეული, ურთიერთსაწინააღმდეგო სოციოლოგიური მიმდინარეობების მოდელიდან გამომდინარე, ამ ნაწილში განხილული იქნება სიცარიელის კვლევის მეთოდები და იდენტიფიცირებული და გაერთიანებული იქნება თითოეული პოზიციის ძლიერი მხარეები. დავიწყებ კრიტიკული რეალიზმის მთავარი პრობლემით: არარსებობა. არარსებობის აღიარება გვეხმარება სიცარიელეებისა და განხეთქილებების აცილებაში რადენიმე გზით. პირველ რიგში, ის სცილდება ცალსახა მნიშვნელობის მქონე დაშვების ფარგლებს იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ პოზიტიურის გამოკვლევაა შესაძლებელი და საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ უხილავობა, გამოტოვება და ნეგატიურობა (Bhaskar, 1998). შეფარდებითი დუმილი სოციოლოგიაში ბავშვებთან მიმართებით ლიტერატურაში და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, შეიძლება შემდგომში იქცეს შესაძლებელ და უდაოდ, გადამწყვეტ თემად იმის

გასაანალიზებლად თუ რა არის გამოტოვებული. რა არის სავარაუდო მიზეზები (იხილეთ წინა ნაწილები) და არარსებობის აცილების საშუალებები (ეს ნაწილი), რომლებიც ახსნიან და შესაბამისად, საფუძვლად უდევთ დიქოტომიებსა და დუალიზმებს? მეორე, რეალურია იმის აღიარება, რომ არარსებობა, წარსული და მომავალი, აწმყოს ყველა პოტენციური ალტერნატივა აქ-და-ახლა, უსასრულოდ უფრო დიდია და ძლევამოსილი ვიდრე არსებობა. ბასკარი (Bhaskar, 2010) ახსენებს წვიმების სეზონს, რომელიც არასოდეს დგება ისე, რომ გაანადგუროს მოსავალი. 2011 წელს არაბული პროტესტები იყო მათი შელახული უფლებებისა და თავისუფლებების არარსებობის გამო. უფლებები ყველაზე ღირებული მაშინაა, რომცა მათ პატივს არ სცემენ და თითქოს ისინი არ არსებობენ, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ დეტალურ, კონკრეტულ მოთხოვნებს და ცვლილების, წარმოსახვისა და უკეთესი მომავლის მიღწევის, ასევე არსებული შევიწროვებების აცილების ინსტრუმენტებს. მესამე, არარსებობის აღიარება გვეხმარება გავცდეთ ფიქსირებულს და სტატიკურს, გავცდეთ გელნერის შიშს დამანგრეველ ცვლილებასთან დაკავშირებით. იმიტომ, რომ ცვლილება მოიცავს არარსებობას და არა მხოლოდ სხვაობას; ნებისმიერი გარდაქცევა მოოიცავს ძველი მდგომარეობის დაკარგვას. მშობლები, რომლებიც პატივს სცემენ თავიანთი შვილების უფლებებსა და ზრდად კომპეტენციას, უნდა მიიღონ საკუთარი ავტორიტეტისა და ბავშვის მათზე დამოკიდებულების არ არსებობა და შემცირება. მეოთხე, ისეთი ნეგატიური უკიდურესობების როგორიცაა გენოციდი, გაგების ერთ-ერთი მეთოდია მათი განხილვა როგორც სიკეთის არარსებობა, რომელიც წარმოშობს თავისუფლების სურვილს და მისკენ მოძრაობას, სადაც არ არსებობს სირთულეები და ძალდატანებები (Bhaskar, 2008:280).

ონტოლოგია და ეპისტემოლოგია

კიდევ ერთი გავრცელებული არარსებობა სოციოლოგიაში არის თავდაჯერებულობა იმაში, რეალურად არსებობს თუ არა საგნები თუ უფრო ზუსტად განიხილებიან როგორც აღქმები, კონსტრუქციები და დისკურსები. ყოველდღიური საღი აზრი გვეუბნება, რომ ყველა ეს ობიექტი,

ოკეანებიდან დაწყებული გულისცემით, ქვაზე ამოტვიფრული თუ პერგამენტზე დაწერილი კანონებით, ნათესაური კავშირებით დასრულებული, რეალურად არსებობს და ჩვენაც ისე უნდა მოვიქცეთ თითქოს ეს ასეა. და მაინც, ბევრი სოციოლოგი ეჭვქვეშ აყენებს მთელ არსებობას და ღელავს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება დავეყრდნოთ ჩვენს საკუთარ და სხვა ადამიანების გამოცდილებებს, დაკვირვებებსა და ანგარიშებს, ან ვიყოთ დარწმუნებულები, რომ საგნები აგრძელებენ არსებობას როცა მათ არავინ აკვირდება, ან კიდევ ვიყოთ დარწმუნებული, რომ რაიმე არსებობს იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ აღიქმება და კონსტრუირდება ჩვენ მიერ. ეს გაურკვევლობები გავლენას ახდენენ ბავშვობის კვლევებზე და "ბავშვობის სოციალურ კონსტრუირებაზე". კრიტიკული რეალიზმი დეტალურად აანალიზებს ამ თეორიების ხანგრძლივ ისტორიას და მათ ნაკლებს და ასკვნის, რომ სამყარო უნდა არსებობდეს მის შესახებ ჩვენი ცოდნისგან დამოუკიდებლად. ბასკარი (Bhaskar, 1998) ამტკიცებს, რომ მკვლევართა თავდაცვითი შიშები და უშედეგო დებატები რეალობის შესახებ ანაცვლებს მათ მცდელობას იპოვონ დასაბუთება/გამართლება თავიანთი თეორიების (ეპოსტემოლოგია, რელევანტურობა და შეთანხმებულობა ინტერპრეტივისტებისთვის, იხილეთ მე-2 მიმდინარეობა და მე-3 მიმდინარეობის ნაწილი) ან მეთოდების (სიმკაცრე, გათვლილობა და მიუკერძოებლობა ემპირიკოსებისთვის და პოზიტივისტებისთვის, 1-ლი და მე-4 მიმდინარეობები).

თუმცა, კრიტიკული რეალიზმი ამტკიცებს, რომ დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს კვლევის საწყისს სუბიექტებს/ობიექტებს (ადამიანებს და სხვა სახეობებს, საგნებს, მოვლენებს, სტრუქტურებს, პროცესებს, იდეებს) და იმას, თუ რამდენად ზუსტად ხდება მათი გაგება. მკვლევართა ზედმეტი ნდობა საკუთარი თეორიებისა და მეთოდების მიმართ, შემეცნებით ცდომილებას წარმოადგენს. ეს "აქვეითებს" ონტოლოგიას აპისტემოლოგიამდე, ხოლო საგნებს (მკვლევართა) აზრებში. ჩვენ უნდა გავაცალკევოთ იმ საგნების დამოუკიდებელი, "გაუზავებელი", "გაუმარტივებელი", გარდაუვალი ყოფიერება (ონტოლოგია) რომლებსაც ვიკვლევთ, მკვლევართა ძალიან მრავალფეროვანი გარდამავალი ცოდნისაგან (ეპისტემოლოგია). სოციოლოგებს, რომლებიც თავს არიდებენ შემეცნებით

ცდომილებას, შეუძლიათ დააკავშირონ საკვლევი გარდაუვალი ობიექტების არსებობის უტყუარობის პოზიტივისტური ასპექტები და მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (1-ლი და მე-4 მიმდინარეობა) ინტერპრეტივისტთა ცოდნასთან/გაგებასთაბ დამკვირვებელთა გარდამავალი სუბიექტურობის შესახებ (მე-2 მიმდინარეობა), რაც წარმოადგენს კომბინაციას, რომელიც ორივე ტრადიციის გარკვეულ ნაწილებს ითვალისწინებს. ასეთნაირად, ჩვენ შეიძლება პატივს ვცემდეთ მაგალითად, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის დაწერილ, რატიფიცირებული სიტყვების (მსოფლიოში მილიონობით ბავშვების ხელმოკლეობის - რომელსაც ისინი იტანენ და გამოსავალი გზების - რომლებიც მათ სჭირდებათ) რეალობას. ჩვენ ასევე შეიძლება პატივს ვცემდეთ ყველას განსხვავებულ შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განისაზღვროს, განიმარტოს, გამოიკვლიოს და ხელი შეეწყოს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას.

სიღრმისეული რეალიზმი, ღია და დახურული სისტემები, სტრუქტურა და ქმედითობა

უფლებებს რეალური ონტოლოგია აქვს რამდენიმე მიმართულებით. სიღრმისეულ რეალიზმს აქვს ოთხი დონე (Bhaskar, 2008). პირველი მათგანი არის "ემპირიული", უფლებათა საგრძნობი გამოცდილება, მაგალითად ადამიანის უფლებების შესახებ კონვენციებისა და კანონების ტექსტებში, ასევე მოწმობებში, ანგარიშებსა და ფილმებში უფლებების დარღვევის თუ დაცვის შესახებ. საყოველთაო უფლებები საუკუნების განმავლობაში თანდათან განისაზღვრა მუდმივი საზოგა-დოებრივი პროტესტებით დაჩაგრულობისა და უსამართლობის წინააღმდეგ; ისინი დაიხვეწა და განიმარტა სამართლებრივი და ფილოსოფიური დებატების გზით. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია თითქმის საყოველთაოდ შეთანხმებული და რატიფიცირებულია და მას შეიძლება რეალური პოლიტიკური და პრაქტიკული შედეგები ჰქონდეს, როდესაც ადამიანები მუშაობენ მათ განხორციელებაზე სასამართლოებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოლიტიკაში. 1998 წლის ადამიანის უფლებების აქტი რომც კი გაუქმდეს მისი მოწინააღმდეგეების მიერ, 2000 წლიდან

მოყოლებული სასამართლო საქმეების პრიორიტეტულობა, აქტის საფუძველზე, უზრუნველყოფს მის მდგრად არსებობას და ზეგავლენას საერთო ინგლისურ სამართალში.

მეორე დონე აერთიანებს ემპირიულ და "რეალურ" მოვლენებს, სადაც უფლებები ცენტრალური საკითხია. მაგალითად, არაბულ პროტესტებს ადგილი ჰქონდათ მსოფლიოს ყველზე წყალ-ნაკლულ ქვეყნებში (ჩარრინგტონ, 2011). ხანგრძლივი გვალვები, ჭაბურღილები, რომლებიც აცარიელებენ მრავალსაუკუნოვან ღრმა წყალსატევებს, წყლის დაბინძურება, დემინარალიზაციის ქახნებისთვის საწვავის მზარდი ფასები, პრივატიზაცია და წყალზე მაღალი ფასები - ყველაფერი ეს საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებას მიიღოს უსაფრთხო სასმელი წყალი (UNCRC, 1989, Article 24,2c). ეს უფლება იმის მაგალითია, თუ როგორ არის ყველა უფლება ურთიერთდაკავშირებული და განუყოფელი ადამიანის სხეულისაგან. სუფთა წყლის მიღების უფლება დაკავშირებულია სიცოცხლის, საკვების და ცხოვრების ადეკვატური სტანდარტების უფლებებთან, ასევე დაკავშირებულია მომსახურებებთან, ინფრასტრუქტურასთან და პოლიტიკურ ეკონომიკასთან, რომლებიც საჭიროა კომუნალური მომსახურებების, ჯანდაცვისა და განათლების უფლებების მხარდასაჭერად, რათა დაბადებიდანვე იყოს ადამიანი უზრუნველყოფილი ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლებით, ასევე ადამინის ღირსეული ცხოვრებითა და თვითრეალიზაცის შესაძლებლობით (გაერო, 1989). ყველა ეს უფლებების გამოხატვა და გამოყენება, გათვალისწინება, იგნორირება თუ დარღვევა სხეულით ხდება, ამასთან ის თუ როგორ ხდება ამ სხეულების პატივისცემა და გამოზრდა, დაჩაგვრა, დატუსაღება, წამება თუ დამონება (გაერო, 1989:14), გავლენას ახდენს ჩვილებზე, მაგალითად, დისკრიმინაციისა და დევნის შიშის გარეშე, მათი ოჯახების ღვთისმსახურების, თავისუფალი გაერთიანების, ასევე ახალშობილების გაჩენასთან დაკავშირებული ცერემონიების უფლების პატივისცემით, რომლებიც ბევრ რელიგიურ თემში იმართება (Alderson, 2008).

სოციალური კვლევა უმეტესად რჩება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თუმცა შეზღუდულ ორ დონეზე: ემპირიულ და აქტუალურზე (ბასკარი, 1998), რომლებიც ასახავენ ასოციაციებს დაკვირვების

ქვეშ მყოფ საგნებს, მოვლენებსა და ეფექტებს შორის. ამის ექვივალენტი ფიზიკაში იქნებოდა ბევრი ვარდნადი ობიექტების ჩაწერა და ამ ვარდნის მიზეზის შეცდომითი ძიება უშუალოდ მათში და მათ მუდმივ კავშირებში. თუმცა, მიზეზობრივი ძალები და ახსნა უფრო ღრმად - მესამე დონეზე დევს, რომელიც აერთიანებს ემპირიულს, აქტუალურს და რეალურს. ბუნებრივი და სოციალური ობიექტები და სტრუქტურები რეალურია ვინაიდან კაზუალური ძალები გააჩნიათ, რომლებსაც რეალური მოვლენების წარმოქმნა შეუძლიათ.

გრავიტაცია და ევოლუცია მიზეზების მაგალითებია, რომელთა დანახვა ან დამტკიცება შეუძლებელია თავისთავად, მხოლოდ მათი ეფექტებით, მაგალითად ვარდნადი ობიექტების გამომწვევი მიზეზი - გრავიტაციის შემთხვევაში, ან სკვინჩების ნისკარტების სახეცვლილების გამომწვევი მიზეზი თაობათა ევოლუციის პირობებში. ჩვენ მზად ვართ მივიღოთ უხილავი, პირდაპირ დაუმტკიცებელი მიზეზები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ბასკარი (Bhaskar, 1998) ამტკიცებს, რომ უხილავი მიზეზები სოციალურ მეცნიერებებში ისეთივე საფუძვლიანია: უთანასწორობა, კლასი, “რასა”, სქესი და უფროსი-ბავშვის ურთიერთობები. სოციალურ კვლევებში, ნიუტონს ან დარვინს რომ მივყვეთ, შევწყვეტდით მრავალი ემპირიული (დაკვირვებადი) კორელაციების მეთვალყურეობისა და გაზომვის მცდელობებს, რომლებიც ასაკობრივი კოჰორტების მონაცემთა შორის არსებობს, მაგალითად კავშირები იმ ბავშვებს შორის, რომელთა მშობლებიც ადრეულ მეტყველებას უწყობენ ხელს და მათ, ვინც მოგვიანებით სკოლაში კარგად სწავლობენ (Feinstein, 2003). ეს იგივეა რაც ჩვენი მცდელობა ვიპოვოთ მიზეზობრივი სქემები და ასოციაციები ვარდნად ობიექტებს შორის. ამის ნაცვლად, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერები ცდილობენ იპოვონ გრავიტაციის უფრო ღრმა გამომწვევი მიზეზი და შესაბამისი ახსნა, სოციალური მკვლევარებიც გაითვალისწინებდნენ კლასს და უთანასწორობას როგორც რეალური მიზეზობრივი საფუძველის მქონე პოლიტიკურ განმარტებას.

ჩვეულებრივი არგუმენტი სიღარიბისა და კლასის სანდო მიზეზებად იდენტიფიცირების წინააღმდეგ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ხელმოკლე ბავშვი წარმატებებს აღწევს, ხოლო ზოგიერთი პრივილეგირებული ბავშვი კი ძალიან წარუმატებელია. შესაბამისად, კრიტიკოსები ასკვნიან, რომ კლასს არ აქვს გადამწყვეტი ან ძლიერი გავლენა, რასაც ვერ ვიტყვით პიროვნულ მოტივაციაზე. კრიტიკული რეალისტები ამას დახურული და ღია სისტემების კონცეპტებით პასუხობენ (Bhaskar, 1998). ჯერ ერთი, ძალიან ცოტაა ისეთი დახურული სისტემა, რომლებსაც გარდაუვალი, 100%-ანი ეფექტი აქვთ. წყლის დუღილის ტემპერატურა ყველგან 100°C არაა; კიბოს საწინააღმდეგო მკურნალობის კონტროლირებადი ცდები მრავალგვარ შედეგს და გადარჩენის სხვადასხვა მაჩვენებლებს აჩვენებს. მეორე, ცალკეული იზოლირებული სისტემა ასევე ძალიან იშვიათია: ჰაერის დინებები და აეროდინამიკა გრავიტაციის წინააღმდეგ მუშაობს; საზოგადოებაში, უამრავი ცნობილი და უცნობი გავლენა ურთიერთქმედებს ადამიანებთან და ზემოქმედებს მათზე. მესამე, სოციალური სისტემები იმიტომაა ღია, რომ მათში ჩართულია არაპროგნოზირებადი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, ირჩევენ, რეაგირებენ, და არა კანონზომიერი მოლეკულები საცდელ კოლბაში. თუმცა, კრიტიკული რეალიზმი მაინც თვლის, რომ ღრმა მიზეზები, მაგალითად კლასი, მძლავრი და გადამწყვეტია, მიუხედავად მათი განსხვავებული, მაგრამ მრავალი ეფექტისა. ჩვენ თავი უნდა ავარიდოთ უხილავი ძალების მიღების ორმაგ სტანდარტს, მაგალითად ფიზიკაში გრავიტაციის მიღება, თუმცა უხილავი ძალების - მაგალითად კლასის - უარყოფა სოციოლოგიაში.

სოციოლოგიურ დებატებში სტრუქტურისა და ქმედითობის შესახებ ან ძლიერი სტრუქტურები დომინირებს სუსტ აგენტებთან შედარებით ან (ძირითადად მე-2 მიმდინარეობაში) ძლიერი ქმედითობა არჩევს და წარმოშობს სტრუქტურებს და “აკონსტრუირებს ბავშვობას”. კრიტიკული რეალიზმი განასხვავებს ცნობიერ, ინტენციურ მოქმედებებსა და არა-ცოცხალ სტრუქტურებს რომლებში ისინი ბინადრობენ; სტრუქტურები როგორც ძლიერად უწყობენ ხელს ასევე ზღუდავებ მოქმედებებს. როგორც აგენტებს, ჩვენ არ შეგვიძლია ბავშვების ”კონსტრუირება”, ან ბავშვობის,

რომელიც უძველეს ისტორიულ, ბიოლოგიურ და მოდგმის სოციალურ სტრუქტურას წარმოადგენს და რომელსაც გარდაუვლად ვღებულობთ მემკვიდრეობით. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ ჩვენი ადგილობრივი რწმენებისა და ქცევების რეკონსტრუირება და ტრანსფორმაცია ბავშვობის შესახებ. ბასკარი და მარქსი ასევე იკვლევენ თუ როგორი განუზრახველი, შემთხვევითი და წარუმატებელია აგენტების მცდელობები შეცვალონ სტრუქტურები, სტრუქტურასა და ქმედითობას შორის ამ მუდმივი დიალექტიკის პირობებში. სოციალური სტრუქტურები ვერ იარსებებენ ადამიანის აგენტობის გარეშე; აგენტები ვერ იარსებებენ ენის, ნათესაობისა და სწავლის სოციალური სტრუქტურების გარეშე. მაგრამ, შეუძლებელია მათგან რომელიმეს დაყვანა მეორემდე ან არევა მეორეში. ისინი ურთიერთდამოკიდებული, მაგრამ განსხვავებულები არიან. ადამიანის უფლებებში ჩართულია სამართლიანობის, თავისუფლებისა და თანასწორობის რეალური და შთამაგონებელი სტრუქტურები, გარდა ადამიანური აგენტებისა, რომლებიც მოითხოვენ, პატივს სცემენ, ათანხმებენ ან უარყოფენ უფლებებს, ხვეწენ და განახორციელებენ მათ. მომდევნო ნაწილში განხილულია ადამიანის უფლებების სტრუქტური ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორია.

ოთხ-ჰლანარული სოციალური არსება

მთავარი სოციალური დაყოფა, რაც ზემოთ იქნა განხილული, ფართომასშტაბიანი, უპიროვნო კოჰორტასა და სტრუქტურულ კვლევას (მიმდინარეობა 1 და 4) და მცირემასშტაბიან, პირად კვლევენს შორის გადის. კრიტიკული რეალიზმი გვთავაზობს ამ მიდგომების კომბინირების მეთოდებს უფლებების უფრო ჰოლისტური და თანმიმდევრული ანალიზისათვის, სოციალური არსების ოთხი ინტერაქციული სიბრტყის მეშვეობით (Bhaskar, 2008:153).

პირველი სიბრტყე დაკავშირებულია ფიზიკურ სხეულებთან ბუნების სამყაროში. ზემოხსენებული წყლის მაგალითში, ყველა ურთიერთდაკავშირებული უფლებების ონტოლოგია მჭიდრო კავშირშია როგორც ადამიანის ბუნების ასევე გლობალური ეკოლოგიის (რომელშიც ეს ადამიანი ცოცხლობს)

ონტოლოგიასთან და სიχანსაღესთან. თუკი უფლებები ხელშეუვალია და შესაბამისად უნივერსალური, ისინი დაკავშირებულია ადამიანების - როგორც უფლებების მფლობელების - უნივერსალურ ბუნებასთან და საჭიროებებთან. კანტისეული შეხედულება, რომლის თანახმადაც მხოლოდ რაციონალურ "კაცს" აქვს უფლებები, შემეცნებით ცდომილებაში ვარდება, ვინაიდან ის უმეტესწილად უფლებებს განსაზღვრავს, როგორც ინტელექტის მეშვეობით გაგებულ და გამოყენებულ საკითხს. იგი უგულებელყოფს იმას, თუ როგორ არიან სხეულები ჩართული და გამორიცხავს უმეტეს ადამიანს, განსაკუთრებით დაუცველს, რომლისთვისაც უფლებების მოთხოვნა ხშირად ყველაზე საჭიროა. მთელი ისტორიის განმავლობაში ზრდასრულთა ყველა χგუფის, როგორც უფლებების მფლობელების თანდათანობითი ჩართვა, რაოდენ შეზღუდული შესაძლებლობებისაც არ უნდა იყვნენ ისინი, აძლიერებს ახალგაზრდა, "პრე-სოციალური" ბავშვების ჩართვის საფუძველს.

და მაინც, ფილოსოფოსთა ხედვები "პრე-სოციალურ" ბავშვებზე, ცარიელი ფურცლებითა და გონების ხმაურიანი დაბნეულობით, უარყოფილი იყო ფსიქოლოგიური კვლევით ბავშვის მაღალ სოციალური რეაქციებით: მათი მგრძნობიარე აღქმა და კომუნიკაცია; მათი ინტენსიური ცნობისმოყვარეობა და მისწრაფება თავიდანვე იპოვონ დანახულის, გაგონილის და შეგრძნებულის მნიშვნელობა და ფორმები; მათი "ავტონომია" მტკიცედ გამოხატულ შეხედულებებში, პროტესტებსა და ღიმილში (Murray and Andrews, 2000). დღენაკლულ ჩვილებსაც კი აქვთ "ან", რომელსაც ზრდასრულები "ხვდებიან". χერ კიდევ დაბადებამდე ახსოვთ მშობლების ხმები, რომლებსაც უპირატესობას ანიჭებენ სხვა ხმებთან შედარებით (Als, 1999; Alderson et al., 2005). ასევე არსებობს ჩვილების მზრუნველობა სხვებზე (Stern, 1977), რომელიც მალევე პოულობს თავის გამოვლინებას სიმპათია-სოლიდარობის და პატიოსნება-სამართლიანობის რუდიმენტულ გრძნობაში, მათ კონფლიქტში და წინააღმდეგობაში, "სიკარგეში" და "ჭირვეულობაში" (Dunn, 2004), ეს ყველა რეაქციები დაკავშირებულია უფლებებთან. ჩვილების არსებითად სოციალური და არა უბრალოდ

ეგოისტური ბუნება ჩანს იმაში, რომ ისინი სხვა დამიანების სახელებს თვეების განმავლობაში ამბობენ, საკუთარი სახელის გამოთქმამდე.

ამასთან დაკავშირებით ერთი კითხვა არსებობს - როდის ჩნდება პირველად თითოეული ადამინიას სული ან უნიკალური იდენტობა? მარტინი და ბარესი (Martin and Barresi, 2006) განიხილავენ, თუ როგორ თანდათანობით დაიშალა ფრაგმენტებად უკვდავი და წმინდა სულის კონცეპტები ათასწლეულების განმავლობაში თანამედროვე გოფმანისეულ შემსრულებენ/მოქმედების განმახორციელებელ პერსონად. ისინი ციტირებენ თუ როგორ შეეძლოთ პლატონსა და სხვებს ადამიანის ინტელექტის მხოლოდ განმარტება მისი პრენატალური არსებობის რწმენით, ვინაიდან ბავშვების მათემატიკური და ფილოსოფიური უნარები თითქოს წინ უსწრებდნენ და აჭარბებდნენ მათ განათლებას. მისტერიული, უნიკალური პიროვნება, რომელსაც ბევრი მშობელი შეიგრძნობს მის თითოეულ ახალშობილში, სრულად ვერ აიხსნება გენეტიკით (Midgley, 2010).

სოციალური არსების მეორე სიბრტყე, ინტერპერსონალური სუბიექტური ურთიერთობები ცალკეულ პირებსა და ჯგუფებს შორის, აფართოებს ადამიანის ბუნების სოციალურ ასპექტებს. თანამედროვე უფლებებს შეუძლიათ ადამიანის ურთიერთოებების ყველაზე უკანასკნელი ვერსიებისა და ნორმების კოდირება, რომლებიც სათავეს პრეისტორიული ადამიანების საზოგადოებებში იღებს, ასევე ერთი შეხედვით ადამიანის თანდაყოლილ მიდრეკილებებში. ეს ისტორიული და ფსიქო-ლოგიური დასაწყისი მოისაზრებს, რომ უფლებები ადამიანის ბუნებისა და ურთიერთობების განუყოფელი ნაწილებია და არა ზედაპირული, ერთჯერადი იდეები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეოცე საუკუნემდე დიდი ხნით ადრე, ადამიანები უფრო მეტად ემხრობოდნენ ცნობიერ კონცეპტებს თანამედროვე, თანასწორი, საერთაშორისო უფლებების შესახებ ვიდრე ფროიდისეულ ანალიზს. თუმცა, უფლებებთან (და ფსიქოანალიზთან) დაკავშირებული იდეები განიხილებოდა კლასიკურ ბერძნულ და ინდურ დრამასა და პოეზიაში და პატივისცემა და თავისუფლებები თითქოს ყოველთვის ენიჭებოდა სულ მცირე გარკვეულ ჯგუფებს მაგალითად, მეფეებს და მღვდლებს, ბატონყმულ

ურთიერთობებში (Bhaskar, 2008). ინტუიციური აღიარება, იერარქიების, დომინანტობისა თუ მორჩილების, პატივისა თუ უპატივცემულობის მიღებით ან შეთანხმებით, შესაძლოა იყოს ადამიანის ურთიერთობათა განუყოფელი ელემენტები. შემდეგ უფლებები წარმოადგენს ჯგუფების გაზრდის საშალებას, რომლებიც, როგორც მიიჩნევა, იმსახურებენ პატივისცემას "თავიანთი ღირებულებისა და ღირსების" გამო, დაწყებული არისტოკრატებით წარსულში დამთავრებული ნებისმიერით დღევანდელობაში.

ფილოსოფოსი მერი მიდგლი (Mary Midgley, 2010) ეყრდნობა დარვინის თეორიებს ადამიანის ადრეული ურთიერთობების შესახებ, არა უცვლელი, ქვის-ხანის, ადამიანის ბილოგიის თვალსაზრისით, არამედ ადამიანების როგორც სოციალური ცხოველების განხილვის თვალსაზრისით, რომლებსაც ბევრი საერთო აქვთ კომპლექსურ ხროვასთან, ჯოგურ და ნახირის სახეობებთან, თავიანთი "ჩანისკარტების წესით". ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ ჩვენ ენა და გონება, იმიტომ კი არ გვაქვს, რომ ჭკვიანები ვართ, არამედ იმიტომ, რომ ძალიან სოციალურები ვართ. ჩვენ იმთავითვე მიდრეკილნი ვართ ურთიერთობისკენ, გაზიარებისა და კომუნიკაციისაკენ ისევე როგორც სხვა ცხოველები; გარდა ამისა, ჩვენ თვითშეგნებულად და წარმოსახვითად ვფიქრობთ, ვგრძნობთ დანაშაულს და სინანულს, სირცხვილს და სიამაყეს. ეს მოქმედებები და ემოციები უსიტყვოდ და ღიად დაკავშირებულია ყველას უფლებების საერთო პატივისცემასთან.

პირადი ურთიერთობების ფარგლებში, ჩვილების უფლებებს საბაზისო უზრუნველყოფასთან და დაცვასთან მიმართებით, რომლებიც მათ გადარჩენის საშუალებას აძლევენ, ზოგადად უჭერენ მხარს. ტენდენციურად, სადაოა ბავშვების თავისუფლებისა და ავტონომიურობის უფლებები, რაც დაკავშირებული ზოგად წუხილთან დაკავშირებით, რომ ბავშვებმა საკუთარი თავი საფთხეში არ ჩაიგდონ, ან სხვები არ დააშაონ. თუმცა, ეს წინააღმდეგობა საუკუნეობრივი ცრურწმენიდან მომდინარეობს იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვები და ახალგაზრდები, ასევე ქალები არიან უმეცრები, ემოციურები, არარაციონალურები და არასაიმედოები. ეს სტერეოტიპები დაიმსხვრა

ქალების მიმართ და ამჟამად მკვლევარები და სხვა მოზარდები, რომლებიც ადრეული ასაკის მიმართულებებით მუშაობენ და ზრუნავენ მათზე, სულ უფრო მეტად ცდილობენ იგივე შედეგის მიღწევას ბავშვებთან მიმართებით (განხილულია Mayall, 2002: Alderson, 2008). ადამიანის ბუნება ყველა ასაკში აერთიანებს ძლიერ და სუსტ მხარეებს და ადამიანის უფლებები არ იზღუდება სულელი მოზარდებისთვის.

სოციალური არსების მე-3 სიბრტყე მოიცავს უფრო ფართო სოციალურ ურთიერთობებს და თანდაყოლილ სტრუქტურებს, რომელთა მოსაზრებითაც, ღიად აღიარებით თუ არ აღიარებით, უფლებებთან დაკავშირებული გამოცდილებები ჩაქსოვილია კაცობრიობის ისტორიაში. ვუდივისმა (Woodiwiss, 2005) კვალდაკვალ შეისწავლა განუყოფელი უფლებები და ადამიანის ღირსების პატივისცემა თანამედროვე პერიოდიდან უკან - უძველეს ხანამდე, ასევე პატივისცემა ფორმალური რეალიგიური რიტუალებისა და სულიერების რწმენებისადმი, ადამიანის ბუნებაში უფლის მიერ ნაბოძები პატივისცემა სიწმინდეთა მიმართ. ნისბეტს (Nisbet, 1967:221-261) მიაჩნდა, რომ სოციოლოგია ერთადერთი სოციალური მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს თუ როგორ მოქმედებს რელიგიურ-ღვთაებრივი მითი, რიტუალი და კულტის საგანი საერო ცხოვრებაზე; რომელიც აღიქვამს ადამიანის ბუნებას და საზოგადოებას როგორც არსობრივად მორალურს და არ მოისაზრებს, რომ საერო, ეკონომიკური, უტილიტარული, ანგარებიანი და სადაო დოქტრინები წარმოადგენენ “სოციალური ანალიზის უმნიშვნელოვანეს და საკმარისს ბოძებს (1967:221). ნისბეტმა მიმოიხილა კლასიკოს სოციოლოგთა მტკიცებები იმასთან დაკავშირებით, რომ რელიგიები ნერგავენ ერთობისა და მნიშვნელობის, სოციალური წესრიგისა და პასუხისმგებლობის, სოციალური კონტრაქთან წმინდა კავშირების ღრმა გრძნობას, ინდივიდუალობის და ადამინის ჭეშმარიტი ბუნების, სიბრძნისა და სათნოების პატივისცემასთან ერთად, რომლებიც გვიცავენ პარალიზური შიშის, უწესრიგობისა და ტირანიისაგან. ისინი განჭვრეტენ გირთის შეხედულებას თანამედროვე უფლებებთან დაკავშირებით, რომლებიც ზემოთ გვაქვს განხილული.

განურჩევლად იმისა, მიიღება თუ არა ჰობსისეული შეხედულება ომის შესახებ - სადაც ყველა იბრძვის იმის წინააღმდეგ რაც შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კონტროლდებოდეს, თუ რუსოს რომანტიული იდეალი "გაუფუჭებელი" ბუნების შვილის შესახებ, პირველყოფილი ბარბაროსობის თუ ძველი იდილიური ოქროს ხანის იდეა, პრეისტორიის ეს ვერსიები იზიარებენ ადამინის ბუნებასთან და უფლებებთან დაკავშირებულ სამ თემას: ადამიანის იდენტურობა (სიბრტყე 1), სოციალური ურთიერთობები (სიბრტყე 2) და ორგანიზებული საზოგადოება (სიბრტყე 3). უფლებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე თემაში, ვინაიდან ისინი პირდაპირ ეხება სახელმწუოფოთა ვალდებულებებს დაიცვან და უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეები და ასევე პატივი სცენ მათ თავისუფლებებს. ამ პროცესში ამოქმედებულია განსხვავებული ჯგუფებისა და კონფლიქტების მართვა, გარდა ადამიანის ენერგიის, ცნობისმოყვარეობისა და ინიციატივის წახალისებისა, რომელიც სასარგებლოა მთლიანი საზოგადოებისთვის.

თუმცა ისტორიკოსმა, ქრისტოფერ გუდიმ (Christopher Goodey, 2011) გამოიკვლია საზოგადოებების საერთო თემა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს თანაბარ უფლებებს, როცა უმაღლესი ფენა დიდი ხანია გამოყოფილია: კლასიკურ ეპოქაში ღირსების თვალსაზრისით, რომელიც მოგვიანებით ქრისტიან რჩეულთა ცნებებს შეერწყა - სულმდაბალთა/გარყვნილთა საპირწონედ და გადაიქცა ინტელექ-ტუალთა თანამედროვე მერიტოკრატიულ კონცეპტებად გონაბრივად ჩამორჩენილთა საპირწონედ. ეს ნაწილობრივად ხსნის უწყვეტ პატერნალიზმს, რომელიც ბავშვების უფლებების აღიარებას (Goodey, 2011:327-9).

ადამიანის პიროვნულობის განმასახიერებელი, დაშრევებული მე-4 სიბრტყე, დაკავშირებულია სინდისისა და ქმედითობის პირად თავისუფლებასთან, რომლებიც მიმართულია კარგ საზოგა-დოებაში კარგი ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ხშირად უარყოფილს - როგორც ბუნდოვნად უტოპიური - კარგ საზოგადოებას შემუშავებული აქვს მისი დეტალური, შეთანხმებული რუქები და მარშუტები, რომლებიც მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვისკენ. ამ რთული სიბრტყის და

სოციალური მოქმედებისა და ცვლილების მომენტისა და მიმართულების შესახებ კრიტიკული რეალიზმის შემდგომი იდეების განხილვის ადგილი აქ აღარ არის (ალდერსონი პრესაში).

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხილულია სოციოლოგიის შეფარდებითი დუმილის შესაძლო მიზეზები უფლებებთან და ჰოლოკოსტთან - როგორც კატალიზატორთან დაკავშირებით, საერთაშორისო ადამიანის უფლებების განმარტება და რატიფიკაცია. ნაშრომში ასევე განხილულია ადამიანის დაბადებიდან განუყოფელი უფლებების პირდაპირი მნიშვნელობა, ასევე უფლებების სოციოლოგიის განვითარების შესაძლო შემაფერხებელი გარემოებები. ისინი მოიცავენ დიქოტომიებს - მოზარდი-/ბავშვი, სოციალური/პრე-სოციალური, კულტურა/ბუნება, გონება/სხეული, პირადი/პოლიტიკური, შეფასებისგანთავისუფალი/მიკერძოებული,სტრუქტურა/ქმედითობა,საყოველთაო/შემთხვევითი,ემპირიული/ინტერპრეტირებული, მიკრო/მაკრო - რომელთაც შეუძლია სოციოლოგები მიმართონ ცალმხვრივი, ნახევრად-დასრულებული და მაცდური ანგარიშების წარმოდგენისკენ, და ასევე კიდევ შეაფერხონ კომპლექსური ერთეულების - მაგალითად ადამიანის უფლებების და ბავშვობის ანალიზი, რომლებიც დიქოტომიების საზღვრებს სცდება. ჩვილები, როგორც უფლებების მფლობელები, სვამენ საკითხებს ბუნებისა და კულტურის, თანდაყოლილი და შეძენილი უნარების, ასევე ადამიანის ღირებულებისა და ღისების შესახებ, რაშიც ჩართულია სოციოლოგიას მიღმა აზროვნება, მოიცავს რა ჰუმანიტარულ, სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.

არსებული დიქოტომიები და საზღვრები, შეიძლება ნაწილობრივად მივაკუთვნოთ სოციოლოგთა მცდელობებს აკონტროლონ ყოველდღიური ქაოსი და დაყონ იგი სოციალური ანალიზისათვის მოსახერხებელ პორციებად. ასევე შეიძლება ადგილი ჰქონდეს ზიზღს რეალური არეულობისა და ტანჯვის წინააღმდეგ, როგორიცაა ომები და გენოციდი, რომლებიც მტკივნეულად არყევენ სოციოლოგთა თავდაჯერებულობას იმაში, რომ მათ შეუძლიათ სახიფათო და უსამართლო

საზოგადოებების გაგება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბევრი სოციოლოგი გადავიდა უმეტესწილად არაღიარებული ქაოსიდან თუ არარსებობიდან - საზოგადოების ან სოციოლოგიის გულში, საპირისპირო მიმართულებებში: უსამართლობის ფუნქციონალისტური უარყოფისკენ ან პოლიტიკურიდან პირადზე უკუქცევისკენ, რეალობის უარყოფისკენ და შესაბამისად, რეალური ფიზიკური ტანჯვისკენ ან ფაშიზმისგან თავდაცვისკენ ნეო-ლიბერალიზმის მეშვეობით. ყველა ეს პასუხი ავიწროებს ადამიანის უფლებებს. ისინი ასევე ეჭვქვეშ აყენებენ სოციოლოგიის თანმიმდევრულობას და შიდა და საზოგადოებრივ სანდოობას, სოციოლოგების ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებში მოქცევით, სუფთა, სტაბილური, გადაცემადი, ფიზიკური რეალობის პოზიტივისტური რწმენის უკიდურესობებს შორის, ინტერპრეტიული ყურადღების საპირწონედ პიროვნული აღქმების და შემთხვევითი, გარდამავალი ინტერაქციების კონსტრუირების მიმართ (Bhaskar, 1989, 2008; Scott, 2010).

კრიტიკული რეალიზმი გვთავაზობს მიდგომებს, რომლებიც მიმართულია ჩავარდნების, დიქოტომიების და მჭიდრო წინააღმდეგობების აღმოფხვრისაკენ, ასევე ადამიანის უფლებების თეორიისა და კვლევის გაძლიერებისაკენ. მიდგომები მოიცავს *არარსებობის,* ოთხ-პლანარული სოციალური არსების კვლევას, რომელიც აერთიანებს ადამიანის ბუნებასა და ურთიერთობებს, ქმედითობას, სტრუქტურებს და აყვავებას, გარდა იმისა, რომ განასხვავებენ გარდამავალ ეპისტემოლოგიას გარდაუვალი ონტოლოგიისაგან და აღიარებენ ტექსტუალური, სამართლებრივი, პოლიტიკური, ინტერაქციული, განსახიერებული და კაზუალური ადამიანის უფლებების რეალობას. ფართო, უნივერსალური, გარდაუვალი პრინციპები გაეროს შეთანხმებებში უფლებების შესახებ ღიაა გარდამავალი ადგილობრივი შეთანხმებებისა და გამოყენებისათვის, რაშიც სოციოლოგებს შეუძლიათ უმნიშვნელოვანესი წვლილის შეტანა (Freeman, 2011), რათა ხელი შეუწყონ რესურსებისა და ძალაუფლების ამჟამინდელ უდიდეს გადანაცვლებას ახალგაზრდებიდან უფროსი თაობისაკენ. ადამიანის უფლებების შემცირების ნაცვლად, მომავალმა კვლევებმა ახალგაზრდა თაობების შესახებ

შეიძლება გაზარდონ ადამიანის განუყოფელი უფლებების პოლიტიკური და მატერიალიზებული ბუნებისა და მიზნების ინტერდისციპლინარული გაგება.

ბიბლიოგრაფია

Alderson, P., *Young Children's Rights* (London: Jessica Kingsley, 2008).

Alderson, P., *Childhoods Real and Imagined: An Introduction to Dialectical Critical Realism and Childhood Studies* (London: Routledge, in press).

Alderson, P., Hawthorne, J., Killen, M., "The Participation Rights of Premature Babies", *International Journal of Children's Rights* 2005 (3)31-50.

Alderson, P. and Morrow, V. *The Ethics of Research with Children and Young People.* (London: Sage, 2011).

Als, H., "Reading the Premature Infant", in E. Goldson (ed.), *Developmental Interventions in the Neonatal Intensive Care Nursery* (New York: Oxford University Press, 1999).

Bauman, Z., *Modernity and the Holocaust* (Cambridge: Polity, 2005).

Beazley, H., Bessell, S., Ennew, E., Waterson, R., "The Right to be Properly Researched: Research with Children in a Real Messy World", *Children's Geographies* 2009 (7(4)), 365-78).

Berger, P. and Kellner, H., *Sociology Reinterpreted: An Essay on Method and Vocation* (Harmondsworth: Penguin, 1981).

Bhaskar, R., *The Possibility of Naturalism* (London: Routledge, 1998).

Bhaskar, R., *Dialectic: The Pulse of Freedom* (Abingdon: Routledge, 2008).

Bhaskar, R., *Philosophy and the Idea of Freedom* (Abingdon: Routledge, 2010).

Bottomore, T. (2002) *The Frankfurt School and its Critics.* London: Routledge.

Bhaskar, R., *From Science to Emancipation: Alienation and Enlightenment* (Abingdon: Routledge, 2011).

Carrington, D., "Vanishing Lifeline", *Weekly Guardian* 2011 (185(4)),:25-7.

Chalmers, I., “Bill Silverman: A Personal Appreciation”, *Paediatric and Perinatal Epidemiology* 2005 (19(2))82-5.
Dex, S. and Joshi, H., *Children of the 21st Century: From birth to nine months. (*Bristol: Policy, 2005).
Dunn, J., *Children’s Friendships: The Beginnings of Intimacy* (Oxford: Blackwell, 2004).
Durkheim, E., *Education and Sociology* (Glencoe: Free Press, 1956).
ESRC - Economic and Social Research Council, *Research Ethics Framework* (Swindon; ESRC, 2005).
European Council. *European Convention of Human Rights* (EC, 1950).
Feinstein, L. “How can we predict future education achievement?” *LSE CentrePiece*, Summer 2003:24-30.
Freeman, M., *Human Rights* (Cambridge: Polity, 2011).
Freeman, M. D. A., “Why it remains important to take children’s rights seriously”, *International Journal of Children’s Rights* 2007 (15(1),5-23.
Freeman, M. D. A., “Introduction”, *Law and Childhood Studies* (Oxford: Oxford University Press, 2012)
Gearty, C., retrieved December 7, 2011 from http://therightsfuture.com/about/ (2011).
Gehlen. A., *Man, His Nature And Place in the World* (New York, 1988).
Goffman, E., *The Presentation of the Self in Everyday Life.* (Harmondsworth: Pelican, 1969).
Goodey, C., *A History of Intelligence and “Intellectual Disability”: The Shaping of Psychology in Early Modern Europe* (Farnham: Ashgate, 2011).
Gouldner, A., *The Coming Crisis of Western Sociology* (London: Heinemann, 1971).
Hale, B., “What Future for Children’s Rights in England?”, *Annual Meeting of the Children’s Rights Alliance for England* (London, December 2011).
Hynes, P., Lamb, M., Short, D., Waites, M. “Sociology and human rights: confrontations, evasions and new engagements”, *The International Journal of Human Rights* 2011 (14(6))811-32.
Invernizzi, A., “Everyday lives of working children”, in A. Invernizzi and J. Williams (eds.) *Children and Citizenship* (London: Sage, 2008).
James, A., “Interdisciplinarity - for better or worse”, *Children’s Geographies*, 2010 (8(2))215-216.

James, A. and Prout, A. (eds.) *Constructing and Reconstructing Childhood* (Abingdon: Routledge, 1997).
Klein, N., *The Shock Doctrine* (London: Penguin, 2007).
Layard, R., *Happiness: Lessons from a New Science* (London: Penguin, 2006).
Lukes, S., *Moral Relativism* (London: Profile Books, 2008).
Martin, R. and Barresi, J., *The Rise and Fall of the Soul and Self (*New York: Columbia University Press, 2006).
Mayall, B., *Towards a Sociology for Childhood* (Buckingham: Open University, 2002).
Midgley, M., *The Solitary Self: Darwin and The Selfish Gene* (Durham: Acumen, 2010).
Mirowski, P. and Plehwe, D. (eds.) *The Road from Mont Pelerin: The Making of the Neoliberal Thought Collective* (Cambridge MA: Harvard University Press, 2009).
Murray, L. and Andrews, H., *The Social Baby* (Richmond: The Children's Project, 2000).
Nisbet, R., *The Sociological Tradition* (London: Heinemann, 1967).
Parsons, T., *The Social System* (New York: Free Press, 1951).
Popper, K., *The Open Society and its Enemies,* Preface to 2nd edition (London: Routledge & Kegan Paul, 1945/1965).
Scott, D., *Education, Epistemology and Critical Realism* (London: Routledge, 2010).
Stern, D., *The First Relationship: Infant and Mother* (Glasgow: Fontana, 1977)
Turner, B., *The Body and Society* (London: Sage, 2008).
United Nations. *UDHR - Universal Declaration of Human Rights* (New York; UN, 1948).
United Nations. *UNCRC - Convention on the Rights of the Child* (New York: UN, 1989).
Wacquant, L., *Punishing the Poor* (London: Duke University Press, 2009).
Weber, M., *From Max Weber,* trans. Gerth, H. and Mills, C. Wright (London: Routledge & Kegan Paul, 1970).
Woodiwiss, A., *Human Rights* (London: Routledge, 2005).